



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ “

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„21“ 02 2013 წელი

ეგზ. N2

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *მ/ 9/00*

(2011 წლის 1 იანვარი - 2011 წლის 31 დეკემბერი)



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება.....	24
შრომის ანაზღაურება.....	26
წარმომადგენლობითი ხარჯი.....	27
სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები.....	28
უარყოფითი მოსაზრება.....	48
აუდიტის პროცესში გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	49
შიდა კონტროლის არსებითი სისუსტეები.....	49



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის მინისტრის
მოადგილეს

ბატონ ალექსანდრე მარგიშვილს



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს: ხარჯების ანგარიშს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების ანგარიშს, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების ანგარიშს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანგარიშს და ანგარიშს ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

1. სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულია საცხოვრებელი შენობები, რომლებიც არ არის სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ფაქტობრივ სარგებლობაში.

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა-ნაგებობების ანგარიშზე ერიცხება 338.7 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების საცხოვრებელი შენობები. აქედან, სამინისტროს აპარატს ერიცხება 227.0 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების (საწყისი ღირებულება 292,2 ათასი ლარი) საცხოვრებელი შენობა ბეთლემის ქ. №26/7, რომელიც რეგისტრირებულია კერძო პირზე¹. ძირითადი კაპიტალის მოხმარების გათვალისწინებით წმინდა ღირებულება შემცირებულია 65.2 ათასი ლარით.

აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ აღნიშნული შენობის ბალანსზე აყვანის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს 7 ივლისის 1995 წლის ბრძანება. თუმცა, აღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი შენობა წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას.

დანარჩენი 111.7 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების საცხოვრებელი შენობები ერიცხებათ სსიპ-ებს: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს - 76.2 ათასი ლარის, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს - 13.0 ათასი ლარის და იაკობ-გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს - 22.5 ათასი ლარის. აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია შემდგომში ბალანსიდან მოხსნის მიზნით.

2. საფუძვლის გარეშე ჩამოწერილია 172,3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებები.

ბალანსის საცნობარო მუხლში სამინისტროს ერიცხება 600.1 ათასი ლარის „გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“. აქედან, საფუძვლის გარეშე (საფუძველი სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი) სამინისტროს მიერ აპარატის/პროგრამების ბალანსიდან ჩამოწერილია 172,3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

აღნიშნული თანხები წარმოადგენს 1997-2004 წლებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საგადასახადო დავალებებით გადარიცხულ თანხებს.² პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული თანხები ბალანსიდან ჩამოწერილია 2007-2008-2009 წლებში, რაც მოქმედი წესების თანახმად, 2013 წლიდან საცნობარო მუხლიდანაც ჩამოწერას ექვემდებარება და მათი ამოღების შესაძლებლობა სამართლებრივად აღარ იარსებებს.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების მე-8 მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნა.

² მათ შორის, კომპოზიტორ დავით ევგენიძის პირად ანგარიშზე 2003 წლის 31 დეკემბერს გადარიცხულ 36.4 ათას ლარს, რომლის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის შესახებ კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 12 ოქტომბრის №256 ბრძანების თანახმად, 2002 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზიის აქტშიც იყო დაფიქსირებული.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

3. სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ საბალანსო ანგარიში წარმოდგენილია 84.4 ათასი ლარით გაზრდილი ოდენობით, „არასაცხოვრებელი შენობების“ საბალანსო ანგარიშის შემცირების ხარჯზე.

სამინისტროს აპარატის მიერ 2011 წელს განხორციელებული გადახდებიდან, „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ კოდით ლიფტების სარეკონსტრუქციო სამუშაოებსა და საცირკულაციო ტუმბოების შესყიდვა/მონტაჟზე გაწეულია 84 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული შენობის განუყოფელი ნაწილია - შედის ამ ნაგებობის ღირებულებაში და არ მიეკუთვნება მანქანა-დანადგარების და ინვენტარის კატეგორიას.

მიუხედავად ამისა, შენობის კაპიტალიზაცია არ განხორციელებულა, რის შედეგადაც „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ საბალანსო ანგარიში გაზრდილია 84 ათასი ლარით, „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშის შემცირების ხარჯზე.

4. კონსოლიდირებულ წმინდა ღირებულების ანგარიშში სსიპ-ებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მიღებული დაფინანსება და მიღებული გრანტებიდან გაწეული ფაქტობრივი ხარჯი კლასიფიცირებულია არასწორად.

სამინისტროს მიერ სსიპ-ებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მიღებული 4 545.2 ათასი ლარის დაფინანსება აღრიცხულია „სხვა შემოსავლების“ ანგარიშზე, ნაცვლად „გრანტების“ ანგარიშზე ასახვისა, როგორც სხვა დონის ერთეულებიდან მიღებული დაფინანსება,³ ხოლო, მიღებული გრანტებიდან გაწეული 250.8 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი აღრიცხულია „გრანტების“ ანგარიშზე, ნაცვლად „სხვა ხარჯების“ ანგარიშზე ასახვისა.⁴

5. სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების ანგარიშგებაში „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ არასწორად არის კლასიფიცირებული.

საწყის ნაშთად რიცხული 3 078.3 ათასი ლარის მოთხოვნები წინასწარი გადახდებით, ნაცვლად №1442 საბალანსო ანგარიშზე ასახვისა, არასწორად არის აღრიცხული №1410 საბალანსო ანგარიშზე („მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“).

ამასთან, №1442 ანგარიშზე ასახულია მხოლოდ წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი.⁵

6. ძირითად აქტივებზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ფიზიკური ცვეთა) დარიცხვა წარმოებს დადგენილი წესებისა და ნორმების იგნორირებით.

ეროვნული მუზეუმის მიერ ძირითადი აქტივების საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრა და დარიცხვა წარმოებდა მოქმედი წესებისა და ნორმების დარღვევით. კერძოდ, მუზეუმის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობების საწყისი ღირებულება შეადგენს 23 235.2 ათას ლარს. დადგინდა,

³ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

⁴ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 50-ე მუხლის 62-ე პუნქტის მოთხოვნა.

⁵ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 42-ე მუხლის მე-3 და მე-15 პუნქტების მოთხოვნები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

რომ ცვეთის სწორად დარიცხვის შემთხვევაში, ნარჩენი საბალანსო ღირებულება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 21 803.9 ათასი ლარის ოდენობით (ნაცვლად 18 637.2 ათასი ლარისა). შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ ღირებულება (შესაბამისად კაპიტალი) შემცირებულია 3 166.7 ათასი ლარით.

ცვეთის ნორმების არასწორი განსაზღვრისა და გამოყენების ფაქტები დაფიქსირდა სხვა ძირითად აქტივებთან დაკავშირებითაც, რის გამოც საჭიროა გადაანგარიშება და შესაბამისი შესწორებების გათვალისწინება.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავია სულ მცირე 11 703.7 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუდან“ მიღებული გრანტის პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ - „ასოციაცია ატუ“ 2005 წლიდან ინტენსიურად ახორციელებდა ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში არსებული სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოებს.

ა(ა)იპ - „ასოციაცია ატუ“ 2011 წლის 13 დეკემბრის №1589/041/1382 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოყოფის თაობაზე, მის მიერ განხორციელებული 10 271.4 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და 1 432.3 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობების სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადაცემის აქტის გასაფორმებლად.

თავის მხრივ, სამინისტრო 2012 წლის 20 იანვრის №05/1338 წერილით მიმართავს მუზეუმს „კომპეტენციის ფარგლებში“ საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა, 11 703.7 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები (შენობა-ნაგებობების 10 271.4 ათასი ლარის კაპიტალიზაცია და 1 432.3 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობები) ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

აღნიშნულის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ შენობებზე გაწეული სამუშაოების შესახებ სამართლებრივი ბაზისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს.

8. ეროვნული მუზეუმი - დებიტორული დავალიანების აღურიცხაობა.

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ეროვნული მუზეუმი (როგორც მეიჯარე და მიმწოდებელი) შპს „სანტა ესპერანსას“ (როგორც მოიჯარეს და რეალიზატორს) სარეალიზაციოდ გადასცემს გამოცემებსა და სასუვენრო პროდუქციას.

2011 წლის მანძილზე შპს „სანტა ესპერანსას“ მიერ მუზეუმისაგან მიღებული 21.0 ათასი ლარის საქონლიდან, რეალიზებულად ნაჩვენებია მხოლოდ 10.6 ათასი ლარის საქონელი და მუზეუმის ანგარიშზე ჩარიცხულია ამდენივე თანხა, ხოლო 10.4 ათასი ლარის დავალიანება 2012 წლის 1 იანვრის



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად არ არის აღიარებული, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული საქონელი გაცემისთანავე ხარჯებშია გატარებული.⁶

9. სამინისტროს სისტემაში შემავალ საბალანსო ერთეულებში სავალდებულო ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა.

აუდიტის პერიოდში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა: სსიპ - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრში, სსიპ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სსიპ - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრში და სსიპ - ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში. შესაბამისად, აღნიშნულ სსიპ-ებზე რიცხული 14 223.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების ფაქტობრივ არსებობაზე დასაბუთებული გარანტია არ არსებობს.

10. ჩამოწერილია 758.3 ათასი ლარის ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება, რომელიც არასწორად არის ასახული საცნობარო მუხლის „პირობით ვალდებულებებში“.

საცნობარო მუხლის „პირობით ვალდებულებებში“ ასახულია 758.3 ათასი ლარის ჩამოწერილი ხანდაზმული კრედიტორული დავალიანება (მათ შორის, სამინისტროს აპარატზე 213.7 ათასი ლარის დავალიანება ჩამოწერილია საფუძვლის გარეშე). ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჩამოწერილი ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები აღნიშნულ მუხლში არასწორად არის ასახული.⁷

11. ეროვნული მუზეუმის ბალანსზე ირიცხება დემონტაჟის შედეგად არარსებული შენობა - რუსთაველის გამზირის №37-ში მდებარე „ლიტ „გ“ (182.80 კვ.მ).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 19 ოქტომბრის №1-1/1636 ბრძანებით, მუზეუმს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაეცა: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის №37-ში მდებარე „ლიტ „ა“ და „ლიტ „გ“ შენობების 316.49 კვ.მ ფართობი, ღირებულებით - 166 465 ლარი (შპს „აუდიტ-ინფორმი S“-ის №2006/10-11/1 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი - 87 კვ.მ (სსიპ - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 7 თებერვლის №16/01-3979 წერილის შესაბამისად), ღირებულებით - 43 500 ლარი.

2007 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „უზუფრუქტუარი“ ვალდებული იყო, სხვა პირობებთან ერთად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში დაეზღვია ქონება უზუფრუქტის არსებობის მანძილზე. თუმცა, მუზეუმს ქონება არ დაუზღვევია. ამავდროს, „უზუფრუქტუარი“ პასუხისმგებელია ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული უძრავი ქონებიდან შენობა „ლიტ „გ“ მუზეუმის მიერ არ იყო გამოყენებული. 2008 წლის 5 დეკემბერს უძრავი ქონების მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე „სილქ როუდ ჯგუფის“ დაკვეთით სამშენებლო კომპანია „ჰორიზონტის“

⁶ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 14-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

⁷ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 71-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მიერ მიმდინარეობდა სადემონტაჟო სამუშაოები, რის შედეგადაც უკვე დანგრეული იყო „ლიტ „გ“ შენობის მეორე სართული.

აღნიშნულის შესახებ მუზეუმმა აცნობა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს (2008 წლის 5 დეკემბრის №03/03-1351 წერილი), სადაც ასევე მითითებული იყო, რომ „სილქ როუდ ჯგუფის“ ხელმძღვანელმა უარი განაცხადა საკუთრების უფლებისა და სამშენებლო სამუშაოების ნებართვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის წარმოდგენაზე.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, მუზეუმმა 2009 წლის 6 თებერვლის №01/03-122 წერილით ასევე მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ამავე წერილით ირკვევა, რომ მუზეუმს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის გაგზავნილ წერილობითი პასუხი არ მიუღია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 13 აპრილის №15/3335/9-8 წერილით (ასლი გაეგზავნა „სილქ როუდ ჯგუფს“) ირკვევა, რომ რუსთაველის გამზირის №37-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია მუზეუმზე (წერილს თან ახლავს 19.12.2007 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გალერეა „ლიტ „გ“ (182.80 კვ.მ) დემონტაჟის შედეგად აღარ არსებობს, მუზეუმის ბალანსზე კვლავ ირიცხება ეს ქონება (ეროვნული გალერეა - „ლიტ „ა“, „ლიტ „გ“ - სულ 316.49 კვ.მ - 127 679.09 ლარის ნარჩენი ღირებულებით) და გრძელდება მასზე ცვეთის დარიცხვაც.

ამრიგად, სახელმწიფო საკუთრება, ზემოაღნიშნული შენობის სახით, 2008 წლის 5 დეკემბრიდან უკვე აღარ არსებობს, რის შესახებაც სამართლებრივი აქტი მუზეუმს არ გააჩნია.

12. ეროვნული მუზეუმის საკუთრებაში არსებული ოქრო ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა შეფასებული და კლასიფიცირებული.

ეროვნული მუზეუმის ბალანსზე „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ანგარიშზე წლების მანძილზე ირიცხებოდა 152 გრამი (99.99 სინჯის) ოქრო. მოქმედი წესების თანახმად, აღნიშნული ოქრო უნდა ასახულიყო „ფასეულობების“ ანგარიშში.⁸

ოქროს საბალანსო ღირებულება შედგენს 368.55 ლარს, რაც არ შეესაბამება რეალურ საბაზრო ღირებულებას (30-40-ჯერ ნაკლებია). აღნიშნული ოქრო მუზეუმში ინახება გამოუყენებლად და წარმოადგენს სახელმწიფო ქონებას. აუდიტის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განხილულ იქნეს აღნიშნული ოქროს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადაცემის შესაძლებლობის საკითხი.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის №153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის V თავის მოთხოვნები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

13. სამინისტროს მიერ ეროვნულ მუზეუმში, მისი დაარსებიდან დღემდე, ფონდების მდგომარეობისა და აღრიცხვის შემოწმება არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონით ეს მისი ფუნქციაა.

14. აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული უზუსტობები და ნაკლოვანებები.

თანხები გადახდილია არასრულყოფილად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების გარეშე (გადახდილი ფასის მომსახურების ღირებულებასთან შესაბამისობის დადასტურების გარეშე), რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიზანს და სახელმწიფო სახსრების რაციონალურად განკარგვის პრინციპებს.

არასრულყოფილად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შედეგად, გაურკვეველი რჩება ღონისძიებებზე გასაწევი მთლიანი ხარჯების ოდენობა, ასევე სპონსორებიდან და ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა, რომელთა შორის სხვაობაც უნდა შეადგენდეს ბიუჯეტიდან მოსათხოვი თანხის რაოდენობას. ასეთი სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნილია 1 368.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- ზემოაღნიშნული სახით დაუსაბუთებლად მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია შპს „ისტერნ პრომოუშენსისათვის“ ბათუმის ჯაზფესტივალის ჩასატარებლად 1 104.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება №150). ხელშეკრულებაში არ არის დაფიქსირებული, რომ განხორციელდა თანადაფინანსება და არც ბილეთების რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს რაიმე შეთანხმება.

შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, სამინისტროსგან მიღებული თანხის გარდა აღნიშნული ღონისძიების შემოსავალმა შეადგინა 577.5 ათასი ლარი (სპონსორებისგან - 164.1 ათასი ლარი, ბილეთების რეალიზაციით - 413.4 ათასი ლარი). ჯაზფესტივალის დაფინანსებისას სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაციას დამატებითი ხარჯების შესახებ და რა მოგება დარჩა ორგანიზატორს ღონისძიებიდან, რომლის ფაქტობრივი გენერალური სპონსორი თვითონ იყო.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჯაზფესტივალის ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებისა (სამინისტროს წილი ზემოაღნიშნული ღონისძიების დაფინანსებაში შეადგენდა 65%-ს), შპს „ისტერნ პრომოუშენსმა“, შპს „ინტერნეშინალ ივენოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, ღონისძიების გენერალურ სპონსორად კანონდარღვევით⁹ (არასათანადო რეკლამის საშუალებით) გამოაცხადა სს „საქართველოს ბანკი“, რომლის წილიც ღონისძიების დაფინანსებაში შეადგენდა 46.0 ათას ლარს (2.7 %-ს).

- არასრულყოფილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე თანადაფინანსების სახით მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიისთვის“ 24.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება №539, ლელა წურწუმიას კონცერტის ტექნიკური უზრუნველყოფა). ასევე არასრულყოფილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, თანადაფინანსების სახით, მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ

⁹ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გადახდილია სსიპ - „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრისთვის“ 190.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება №560), თეატრალური ფესტივალის ჩასატარებლად.

- სამინისტროს მიერ შპს „ლაშა-2007“-თან წლის განმავლობაში გაფორმებული იქნა 31 ხელშეკრულება (სხვადასხვა პროგრამებისა და აპარატის ხარჯების ფარგლებში) სატრანსპორტო მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებით. შესყიდვები განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის გზით, ძირითადად წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის საფუძველზე. სულ გადახდილია 50.1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ არც ხელშეკრულებებში და არც მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული, თუ რა სახის სატრანსპორტო მომსახურებები იქნა გაწეული (ვის და რა მიზნით, რამდენი და რომელი ავტომანქანებით, რა მიმართულებით, რა დროის განმავლობაში). აღნიშნულია მხოლოდ, რომ სტუმრებს გაეწიათ სატრანსპორტო მომსახურება.

ხელშეკრულებები გაფორმებულია ღონისძიების ჩატარების შემდგომ.

2011 წლის 2 აგვისტოს ქ. ბათუმში, კონცერტ - MTV Georgia Live-ში ჯგუფ „სტეფანე და 3G“ მონაწილეობისთვის ერთ საღამოში ფიზიკური პირის, სტეფანე მღებრიშვილისთვის გადახდილია 25.0 ათასი აშშ დოლარი (ხელშეკრულება №730), ხოლო იმავე კონცერტში ჯგუფ „ელდრანის“ მონაწილეობისთვის ფიზიკური პირისთვის, სერგო სულაძისთვის გადახდილია 12.5 ათასი აშშ დოლარი (ხელშეკრულება №731). ამასთან, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმდა 2011 წლის 5 დეკემბერს (კონცერტის გამართვიდან ოთხი თვის შემდეგ). ამ დროისთვის სამინისტროს ბუღალტრულად არანაირი ვალდებულება არ ერიცხებოდა და არც ხელშეკრულებების გაფორმებაზე იყო ვალდებული.

იდენტიფიცირებულია არსებითი შეუსაბამოები მიღება-ჩაბარების აქტისა და კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას შორის.

ეროვნული მუზეუმის მიერ შპს „მშენებელი 2004“-სთვის ეროვნული გალერეის ბადისმხრივი ფასადის კორპით შემოსვისა და მისი თანამდგენი სამუშაოს შესრულებისთვის, სულ გადახდილ იქნა 155.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ხარჯების დოკუმენტების მიხედვით, მას ნედლეული და მასალები დაუჯდა 56.3 ათასი ლარი, ფასების ცხრილსა და შესრულებულ სამუშაოთა მიღების აქტში კი ამ მასალების ღირებულებად შეტანილია 82.7 ათასი ლარი. ამ დროს სახელფასო უწყისში შრომის ანაზღაურების სახით კი დარიცხულადაა ნაჩვენები 72.7 ათასი ლარი (მათ შორის, 3 კაცზე დარიცხულია თითოეულზე 17 890.0 ლარი, რაც ჯამში 53 670.0 ლარს შეადგენს). შესრულებულ სამუშაოთა მიღების აქტში კი ხელფასების სახით გაცემულადაა ნაჩვენები მხოლოდ 47.8 ათასი ლარი.

დაუსაბუთებელი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებული შესყიდვები.

სამინისტროს მიერ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შპს „ექსკლუზივ პრინტთან“ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები: 2011 წლის 6 დეკემბრის №733 (გრიგოლ ტატიშვილის წიგნების 500 კომპლექტის ბეჭედა) - თანხით 10 390 ლარი, 2011 წლის 9 დეკემბრის №738 (ვაჟა-ფშაველას სამტომეულის 460 კომპლექტის დაბეჭედა) - თანხით 51 290 ლარი, 2011 წლის 9 დეკემბრის №739 (ვაჟა-ფშაველას სამტომეულის 40 კომპლექტის



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ბეჭდვა) - თანხით 4 460 ლარი და 2011 წლის 20 დეკემბრის №763 (ვაჟა-ფშაველას სამტომეულის კომპლექტისთვის 500 ყუთის დამზადება) - თანხით 7 788 ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვების განხორციელებისას არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ვითარება, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადაუდებელ აუცილებლობას¹⁰. ასევე ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები წლის დასაწყისში უნდა დაგეგმილიყო და არა წლის ბოლოს, რითაც შეიქმნა დროის დეფიციტი. გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა.¹¹ აღნიშნული შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.¹² აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამტომეულის ერთი კომპლექტის მხოლოდ ბეჭდვის ღირებულებამ შეადგინა 111.5 ლარი (ერთი ტომი 37 ლარი), ხოლო სამტომეულის კომპლექტის ჩასადები ერთი ყუთის ღირებულებამ 15.57 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების გამოცხადებისას პრეტენდენტებისათვის წაყენებული პირობების არათანმიმდევრულობისა და შეფასების კრიტერიუმების დაუსაბუთებულობის ფაქტები - სსიპ - „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

სააგენტოს მიერ ელექტრონული ტენდერებით სარესტავრაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემების განსაზღვრის დროს ადგილი ჰქონდა არასათანადო მიდგომას. რაც გამოიხატება იმაში, რომ მოთხოვნილი მონაცემები სხვადასხვა ანალოგიური სახის შესყიდვების დროს განსხვავებოდა ერთმანეთისგან.

კერძოდ, ყველა განხორციელებული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს ანალოგიურ სფეროში უნდა ჰქონოდა განხორციელებული არანაკლებ სამი სამუშაო. ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილია, რომ თითოეული შესრულებული სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 20.0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო ზოგიერთში ეს მოთხოვნა არ არის მითითებული. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილია, რომ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგალითად, ფორმა №2-ები), ხოლო ზოგიერთში საკმარისად იყო ჩათვლილი მხოლოდ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი. გაუგებარია, თუ რატომ აწესებდნენ მინიმალურ ზღვარს თითოეული ხელშეკრულებისთვის ცალკე ან რატომ იყო საბოლოო კრიტერიუმი ხელშეკრულებათა რაოდენობა და არა შესრულებულ სამუშაოთა ჯამური მოცულობა.

მაგალითად, გელათის გაბრიელ მთავარეპისკოპოსის სახლის რესტავრაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტის სავარაუდო ღირებულება 210 000 ლარი) არ იყო მოთხოვნილი მსგავსი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები -

¹⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

¹² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტისა და 10¹ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ფორმა №2-ები (მაშინ, როდესაც ბევრად უფრო დაბალი ღირებულების, კერძოდ, ტიმოთეს კარიბჭის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისას მოთხოვნილი იყო მსგავსი შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ები. პროექტის სავარაუდო ღირებულება 40 000 ლარი).

ამასთან, ზემოაღნიშნულ ტენდერში პრეტენდენტი შპს „ალზუ“, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა ყველაზე დაბალი ფასი (139.0 ათასი ლარი) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მესამე ანალოგიური სახის სამუშაო არ ჩაუთვალეს, რადგან ჯერ მიმდინარეობდა და დამთავრებული არ იყო (თუმცა სატენდერო კომისიის 2011 წლის 15 ივნისის №3 ოქმის მიხედვით სამუშაოები მთავრდებოდა 19 დღეში - 2011 წლის 4 ივლისს). გამარჯვებული პრეტენდენტის კომპანია „ივერთმშენის“ სატენდერო წინადადების ფასმა შეადგინა 170.8 ათასი ლარი. შედეგად სააგენტოს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 31.8 ათასი ლარი.

ვაჩნაძიანის ყოვლაწმინდის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით თავდაპირველად არ იყო განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებების მინიმალური ზღვარი (20.0 ათასი ლარი). აღნიშნული მოთხოვნა დაემატა სატენდერო კომისიის 2011 წლის 17 ივნისის №2 სხდომის ოქმის საფუძველზე ტენდერის გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგ. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე პრეტენდენტი შპს „ნიკე“ (რომლის სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი შეადგენდა 76.0 ათას ლარს) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი მესამე შესრულებული სამუშაოს სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 19 954 ლარს - შემსყიდველის მიერ დაწესებულ კრიტერიუმზე 46 ლარით ნაკლებს.

საბოლოოდ ტენდერში გაიმარჯვა ი/მ ვალერიან ლომოურმა, რომლის სატენდერო წინადადების საბოლოო ფასმა შეადგინა 78.0 ათასი ლარი. შედეგად სააგენტოს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 2.0 ათასი ლარი.

კახეთის სარეაბილიტაციო პროექტები - არაგონივრულად მცირე დროის მონაკვეთში დადებული ხელშეკრულებები და სამუშაოს მიღების ფაქტები

კახეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2574 განკარგულების შესაბამისად დაევალა მუნიციპალური განვითარების ფონდს („მგფ“).

თავის მხრივ, ფონდმა აღნიშნული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართა თხოვნით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. მიმართვის წერილში მითითებულია, რომ მათ არ გააჩნიათ რეაბილიტაციის პროექტის შესაქმნელად და სათანადო კომპანიებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად საკმარისი ცოდნა და გამოცდილება.

შესაბამისად, სააგენტომ კულტურის მინისტრისგან შესყიდვის გამარტივებული წესით წარმოების უფლების მიღების შემდეგ გაუზიარა წერილი იმ კომპანიებს (7 კომპანიას), რომლებსაც სავარაუდოდ უნდა ჰქონოდათ მზა პროექტები.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული პროცედურები, კომპანიების პასუხი მათთვის გაგზავნილ წერილებზე, ხელშეკრულებების გაფორმება შვიდივე კომპანიასთან (ანუ შვიდივე პროცედურული



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საკითხის გადაწყვეტა) განხორციელდა ერთ დღეს - 2011 წლის 28 დეკემბერს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა მეორე დღესვე - 2011 წლის 29 დეკემბერს.

15. ეროვნულ მუზეუმსა („მეიჯარე“) და შპს „გორგასალს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მიხედვით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს, როგორც მეიჯარის ინტერესები.

2008 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა („მეიჯარე“) და შპს „გორგასალს“ („მოიჯარე“) შორის გაფორმებული უნომრო იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ქ. თბილისში სიონის ქ. №8-ში მდებარე იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის შენობის (3,738.97 კვ.მ), ე.წ. ქარვასლის 1 789 კვ.მ აუთვისებელი ფართი (საიჯარო ქონება) 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა მოიჯარეს.

ხელშეკრულებაში ჩადებული ზოგიერთი მუხლის მიხედვით, აშკარად იკვეთება „მეიჯარის“ (სახელმწიფოს) ინტერესების იგნორირება და „მოიჯარის“ ეკონომიკური ინტერესების გამტარებელი დამცავი მექანიზმების არსებობა. კერძოდ:

ხელშეკრულების მიხედვით, „მოიჯარე“ ვალდებულია განახორციელოს შენობის სრული რეკონსტრუქცია. მათგან პირველი ორი წლის განმავლობაში განახორციელოს არაუმცირეს ერთი მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება შენობის რეაბილიტაციაში, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რა ვადებში უნდა განახორციელოს „მოიჯარემ“ შენობის სრული რეკონსტრუქცია, რაც იძლევა ინვესტირების პროცესის გაჭიანურების საშუალებას 49 წლის მანძილზე.

იკრძალება საიჯარო ქირის (წლიური საიჯარო ქირა შედგენს 20.5 ათას აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში) გაზრდა ნებისმიერ შემთხვევაში, 49 წლის მანძილზე, შესაბამისად, არ ითვალისწინებს ინფლაციურ პროცესებს.

ხელშეკრულების მოშლის საფუძველად მითითებულია მხოლოდ საიჯარო ქირის გადაუხდელობა 90 დღის განმავლობაში.

ხელშეკრულებაში არ არის ჩადებული ეკონომიკური სანქციები პირობების შეუსრულებლობისათვის, რაც, სხვა პირობებთან ერთად, „მეიჯარის“ ინტერესების საზიანოდ არის მიმართული.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობა - 2010 წლის 10 თებერვლისათვის პროექტის დასრულების შესახებ, დასტურდება 2010 წლის 10 თებერვალს „მეიჯარესა“ და „მოიჯარეს“ შორის გაფორმებული შეთანხმებით, რომლის მიხედვით ერთი მილიონიანი აშშ დოლარის ინვესტირების ვადა კიდევ ორი წლით გაგრძელდა.

ასევე, წარმოდგენილია შპს „გორგასალის“ 2012 წლის 2 თებერვლის №12M/12 წერილი და 7 თებერვლის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების ვადა გაზრდილია 2013 წლის 10 თებერვლამდე.

ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ „მოიჯარემ“ უკვე განახორციელა 604.0 ათასი ლარის სამუშაოები და ამჟამად მიმდინარეობს კიდევ 320.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ანუ, ხელშეკრულებით 2 წელიწადში ჩასატარებელი სამუშაოები 4 წლის განმავლობაშიც არ იქნა სრულად შესრულებული, მაშინ როდესაც შენობის სრული რეაბილიტაცია გაცილებით მეტ ინვესტიციას საჭიროებს.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის მიმდინარეობისას (2012 წლის 27 აპრილს) აუდიტის ჯგუფის მიერ მეიჯარის წარმომადგენლებთან ერთად ქარვასლის შენობის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ 2012 წლის 10 თებერვლამდე დასასრულებელი სამუშაოების მხოლოდ ნაწილი იყო შესრულებული და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

16. „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების მიხედვით - „სამუზეუმო ნივთი და კოლექცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას (სახელმწიფო რეესტრში შეტანას), განურჩევლად მათი საკუთრებისა“, ხოლო „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრი არის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტი“. ამასთან, ამ რეესტრის ფორმის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესს ადგენს თვითონ სამინისტრო, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ეროვნული გალერეა ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა 2007 წელს. გალერეაში არსებული 6 ფონდიდან, 5 ფონდის ძირითად შემოსულობათა და საინვენტარო წიგნები არ არსებობს, რასაც 1991-1992 წლებში მომხდარი ხანძრით ხსნიან. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხანძარმა ძველი დოკუმენტაცია სრულად გაანადგურა. დარჩენილია მხოლოდ ქანდაკებების ფონდის ძველი საინვენტარო წიგნები და ზოგიერთი სხვა დოკუმენტაცია. ხანძრის შემდეგ ამ 5 ფონდში ჩატარდა ინვენტარიზაცია, ჩვეულებრივ A4 ფორმატის ქაღალდზე საბეჭდი მანქანით დაიბეჭდა გადარჩენილი ექსპონატების სიები, რომლებიც აიკინმა ქრონოლოგიურად და ასეთი სახით გაკეთდა ახალი ე.წ. საინვენტარო წიგნები. თუმცა, წინა ინვენტარიზაციის აქტების, აგრეთვე შემოსულობათა და საინვენტარო წიგნების, და რაც მთავარია, „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის“ არარსებობის გამო შეუძლებელია შეჯერების გაკეთება, ანუ იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა სახის ექსპონატები იქნა დაკარგულ-განადგურებული და რამდენი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის“ წარმოების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სააღრიცხვო დოკუმენტს სამინისტრო საერთოდ არ აწარმოებს.

17. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის №626 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც გაერთიანებულია: „სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი“, „შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი“ და მასთან არსებული უჯრედები (ელენე ახვლედიანის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძისა და უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმები), „იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)“, „გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიული მუზეუმი“, „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“, „საქართველოს ეროვნული გალერეა“, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი“, „სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი“, „სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი“, „ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი“, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი და ორი სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი. ფაქტობრივად, ეროვნული მუზეუმი ზემოხსენებული სახელმწიფო მუზეუმების მექანიკური შეერთების გზით შეიქმნა და ფონდების ოფიციალური მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

18. სამინისტროს (როგორც საგადასახადო აგენტის) მიერ გადასახადების არასწორი გაანგარიშების და დაბეგვრის ფაქტები.

„საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში, MTV Networks Europe-თან 2011 წლის 26 იანვარს გაფორმებული №44 ხელშეკრულებისა და შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპთან“ გაფორმებული 2011 წლის 28 იანვრის №52 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ დაევა MTV Georgian Live-ის კონცერტის ორგანიზება ქ. ბათუმში. სამინისტროს მიერ სულ გადახდილია 1 394.5 ათასი ლარი. მათ შორის, არარეზიდენტი საწარმოსთვის (MTV Networks Europe) 1,235.5 ათასი ლარის ეკვივალენტი აშშ დოლარი და 158.9 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადი. პირველ ეტაპზე 2011 წლის 31 იანვარს გადახდილი არარეზიდენტი საწარმოს 904.4 ათასი ლარის შემოსავალი დაბეგრილია არა 15%-იანი განაკვეთით (გადახდის პერიოდისთვის მოქმედი ნორმა), არამედ 10%-იანი განაკვეთით. შედეგად, დაბეგვრამ შეადგინა 100.5 ათასი ლარი, ნაცვლად 150.7 ათასი ლარისა (სხვაობა 50.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, სამინისტროს მიერ უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი დაბეგრილი არ არის არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელობა თანხამ შეადგინა 260.0 ათასი ლარი.¹³

რეზიდენტ ფიზიკურ პირთან, შალვა მძინარიშვილთან გაფორმებული №48 და №84 ხელშეკრულებების ფარგლებში მისთვის გადახდილია სწავლისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების საფასური, სულ 73.2 ათასი ლარის ოდენობით. დარიცხულმა და გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 8.2 ათასი ლარი, ნაცვლად 18.3 ათასი ლარისა (სხვაობა - 10.1 ათასი ლარი).

სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა მომწოდებლებზე 2010 წელს წინასწარი გადახდების შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტები წარმდგენილ იქნა 2011 წელს. კერძოდ, ანდრეა ბოჩელის კონცერტის ორგანიზება ქ. ბათუმში (ARCHIVOX SRL – 214.0 ათასი; PENTAGON MUSIC MANAGEMENT LIMITED – 334.8 ათასი; ANDREA BOCELLI – 1.606 ათასი; PETER BASLER c/o BASITOURS – 194.7 ათასი ლარი); მესტიაში საახალწლო ღონისძიებისათვის „უკრაინული ახალი წელი საქართველოში“ (NVK ENERGOSOUZ- LTD) – 176.0 ათასი ლარი; ფ/პ დავით-დეფი გოგიბედაშვილი - 18 ათასი ლარი; სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – 200.0 ათასი;¹⁴ ააიპ - საქველმოქმედო ფონდი „ხელოვნები თანადგომისათვის“ (ფონდის ფუნქციონირებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებისათვის)¹⁵ – 502.5 ათასი ლარი. ბუღალტრული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი არარეზიდენტების მიერ საქართველოში გაწეული მომსახურება 2010 წელსაც არ დაბეგრილა უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი, რის შედეგადაც ბიუჯეტში გადაუხდელობა თანხამ ლარი შეადგინა 454.6 ათასი ლარი შეადგინა.

¹³ [(1,394.5 ათასი ლარი + 50.2 ათასი ლარი დაურიცხავი გადასახადი)*18%].

¹⁴ გაუგებარია, სამინისტროს მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დაფინანსების აუცილებლობა, მაშინ როდესაც, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკე ორგანიზაციული კოდით გამოყოფილია შესაბამისი ასიგნება (დაფინანსებულია კრემლის აგრესიისა და ეთნიკური წმენდის ამსახველი დოკუმენტური ფილმების გადაღება).

¹⁵ გაუგებარია, რატომ ფინანსდება საქველმოქმედო ფონდი (როგორც შუამავალი რგოლი) ბიუჯეტიდან.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

19. ხანდაზმული დებიტორული მოთხოვნების არასათანადო მონიტორინგის ფაქტები.

სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების მიხედვით, ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები მომდინარეობს 2004-2005 წლებიდან (სუბსიდიის მუხლით) და შეადგენს 88.0 ათას ლარს.

კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს ერიცხება 2007-2010 წლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები 68.0 ათასი ლარის ოდენობით (ი/ს „გიორგი მგელაძე“-18.0 ათასი და შპს კინოსტუდია „სანგუკო“-50.0 ათასი ლარი).

აღნიშნული დავალიანებების რეალობის დადგენისა და მათი შემცირების მიზნით საკმარისი ღონისძიებები არ გატარებულა (არ ჩატარებულა მოთხოვნების ინვენტარიზაცია) და არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები¹⁶.

20. აუდიტის ობიექტის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები.

აპარატის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებების და აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში - 602.3 ათასი ლარი:

სამინისტროსა და შპს „ისტერნ პრომოუშენს“ შორის გაფორმებული 2011 წლის 22 მარტის №149 ხელშეკრულების (თანხით 1 264.7 ათასი ლარი, 750.0 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) მიხედვით, შპს „ისტერნ პრომოუშენს“ დაევალა 2011 წლის 3 ივლისს ქ. ბათუმში კრის ბოტისა და სტინგის კონცერტის ორგანიზება.

ღონისძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „ისტერნ პრომოუშენს“ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები ქვეკონტრაქტორებთან (ამერიკული კომპანია - CREATIVE ARTISTS AGENCY და ინგლისური კომპანია - AMBIENT TOURS. INC), რომელთა მიხედვითაც სტინგის ჰონორარი შეადგენდა 300.0 ათას აშშ დოლარს გადასახადების გარეშე, ხოლო კრის ბოტის ჰონორარი 90.0 ათას აშშ დოლარს გადასახადების გარეშე. გარდა ამისა, შპს „ისტერნ პრომოუშენს“ უნდა მოეხდინა კონცერტზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია (1 500 ბილეთი, თითოეულის ფასი - 250 აშშ დოლარი).

დაგეგმილი 375.0 ათასი აშშ დოლარის შემოსავლიდან 100.0 ათასი აშშ დოლარით დამატებით უნდა გაზრდილიყო კრის ბოტისა და სტინგის ჰონორარი (თითოეულის 50.0 ათასი აშშ დოლარით), ხოლო 275.0 ათასი აშშ დოლარი უნდა გახარჯულიყო საქველმოქმედოდ. 2011 წლის 16 მაისის შეთანხმებით, სამინისტრომ შპს „ისტერნ პრომოუშენს“ სარეალიზაციოდ გადასცა არა 1 500 ბილეთი, არამედ 200 ცალი ფეხზე დასადგომი და 858 დასაჯდომი ბილეთი (სულ დამზადებული 2 610 ბილეთიდან). დანარჩენი 1 552 ბილეთი სამინისტრომ გადასცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რის შედეგადაც რეალიზაციიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 344.0 ათასი ლარი, ნაცვლად 375.0 ათასი აშშ დოლარისა. შემოსული თანხა გადარიცხულ იქნა საქველმოქმედოდ. ხოლო დამატებითი ჰონორარები (100.0 ათასი აშშ

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების მოთხოვნები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დოლარი) შპს „ისტერნ პრომოუშენსმა“ გადაიხადა არა ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხიდან, არამედ ჩართო სამინისტროსადმი წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში და ანაზღაურდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

შედეგად, დანარიცხების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაეკონომიურად გახარჯულია 227.9 ათასი ლარი.¹⁷

სამინისტროსა და ააიპ საქველმოქმედო ფონდს - „ხელოვნები თანადგომისათვის“ შორის 2011 წლის 24 თებერვალს გაფორმებული №108 ხელშეკრულების (თანხით 300.0 ათასი ლარი)¹⁸ მიხედვით შემსრულებელს დაევალა უზრუნველყო სახელმწიფო ხელშეკრულებით თანხის მიზნობრივად ხარჯვა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის საჭიროების არგუმენტად ფონდის მიერ მოყვანილია „საქველმოქმედო ფონდის ფუნქციონირება“.

ქველმოქმედება მიზნად ისახავდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში არსებული ხელოვნების სკოლების მასწავლებელთათვის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით ხელფასების დანიშვნას, რისთვისაც ფონდის ადმინისტრაციული ხარჯები დაფინანსებულია 123,7 ათასი ლარით, ხოლო დანარჩენი 176.0 ათასი ლარი გაწერილია რეგიონებში ხელოვნების სკოლებისათვის მასწავლებელთა ხელფასებზე, რომელიც მერყეობს 125 ლარიდან 437 ლარამდე, მაშინ, როცა ფონდის ხელმძღვანელების მიერ საკუთარი ხელფასები (პროექტის მენეჯერი და ხელმძღვანელი) განისაზღვრა 1 687 ლარიდან 2 250 ლარამდე.

აქედან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოყოფილი მთლიანი თანხიდან ფონდის მიერ 123.7 ათასი ლარი (41.2%) გახარჯულია არა საქველმოქმედოდ, არამედ საკუთარი მიზნებისთვის. სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული სკოლების დაფინანსების აუცილებლობად ჩათვლის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა დაფინანსება განხორციელებულიყო პირდაპირი გზით, რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ბენეფიციარებამდე მისული თანხის ოდენობა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლიც.

- სამინისტროსა და შპს „ისტერნ პრომოუშენს“ შორის 2011 წლის 1 ნოემბერს და 6 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულებები №660 და №735 (თანხით 1 735.3 ათასი აშშ დოლარის და 761.0 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში), რომელთა მიხედვითაც შპს „ისტერნ პრომოუშენს“ დაევალა 2011 წლის 31 დეკემბერს ქ. ბათუმში საახალწლო კონცერტის ორგანიზება ხულო იგლესიასის მონაწილეობით. ღონისძიების ორგანიზებისთვის სამინისტროს მიერ გადახდილ იქნა სულ 4 134.3 ათასი ლარი.

ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „ისტერნ პრომოუშენს“ საახალწლო კონცერტზე მონაწილეობის მიზნით გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ამერიკელ არტისტ კაროლინ კემპბელთან, თანხით - 110.0 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 50.0 ათასი აშშ დოლარი მოთხოვნილი იყო უშუალოდ კონცერტში მონაწილეობისთვის; 50.0 ათასი აშშ დოლარი წარმოდგენდა დავალიანებას, რომელიც ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული არ იყო, ხოლო 10.0 ათასი აშშ დოლარი წარმოდგენდა კრის ბოტის ტურნეს მიმართ ვალდებულების გამოსასყიდს, რომელიც ასევე არ იყო დეტალურად განმარტებული.

¹⁷ (164.1 ათასი ლარი დამატებითი ჰონორარი + 29.0 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადი +34.8 ათასი ლარი დღგ).

¹⁸ აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ფონდის დაფინანსება სისტემატურ ხასიათს ატარებს, რაც დასტურდება 2011 წლის დასაწყისში ფონდის დებიტორად აღიარების ფაქტით (2010 წელს დაფინანსებულია 502 ათასი ლარით).



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

პასუხისმგებელი პირების გამოკითხვის და საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული დავალიანება (50.0 ათასი აშშ დოლარი) სამინისტროს არ ერიცხებოდა, მისი წარმოშობის და ვალდებული სუბიექტის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა. ინფორმაციას არ ფლობდნენ არც შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ პასუხისმგებელი პირები. შედეგად დანარიცხების გათვალისწინებით სამინისტროს მიერ ზედმეტად გადახდილია არარსებული დავალიანება 115.9 ათასი ლარის ოდენობით¹⁹.

ზემოაღნიშნული სასაბაღალტრო კონცერტის დაფინანსების კანონიერების შემოწმებით გაირკვა, რომ კონცერტის ორგანიზების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული იქნა სხვა სახის ზედმეტი ხარჯი (ვიდეოგადაღების განსახორციელებლად შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიის“, როგორც ზედმეტი რგოლის ჩართვის შედეგად). კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით²⁰ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ (მათ შორის საბაღალტრო კონცერტის ვიდეოგადაღება და საზოგადოებისთვის მიწოდება). ამ და სხვა ფუნქციების შესასრულებლად მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნება და ის ვალდებული იყო საბაღალტრო კონცერტის ვიდეოგადაღება განეხორციელებინა კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მიუხედავად ამისა, ღონისძიების ორგანიზატორმა შპს „ისტერნ პრომოუშენსმა“ ვიდეოგადაღების მიზნით გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიასთან“, რისთვისაც გადაუხადა 75.0 ათასი ლარი (რომლის შესაბამისობაც გაწეული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან ასევე ვერ იქნა დადასტურებული) და აღნიშნული ხარჯი ჩართო სამინისტროსთვის წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში. წარმოდგენილი დოკუმენტებით აგრეთვე გაირკვა, რომ შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიას“ ვიდეოგადაღება განხორციელებული აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკის (მომრავი სატელევიზიო სადგური) და ტექნიკური პერსონალის გამოყენებით. შედეგად სამინისტროს ბიუჯეტიდან ზედმეტად გახარჯულია 75.0 ათასი ლარი.

- თამარ მეფის ქანდაკების სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით სამინისტროსა და შპს „პალეოლითს“ შორის 2011 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული №450 ხელშეკრულებისა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე გადახდილ იქნა 1 202.6 ათასი ლარი. შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „პალეოლითს“ ხარჯთაღრიცხვაში ქვეკონტრაქტორებზე გადახდილი თანხები წარმოდგენილი ჰქონდა კანონმდებლობის დარღვევით (დღგ-ს ჩათვლით),²¹ სამინისტროსთვის წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულ თანხას ბოლოს განმეორებით ჯამურადაც ჰქონდა დარიცხული დღგ. კერძოდ: შპს „ბი-ეს-სი ელკაბელ ინკ-სგან“ შეძენილი 112.0 ათასი ლარის ბრინჯაოს (მათ შორის, დღგ 17.1 ათასი ლარი) და შპს „ნოვასგან“ შეძენილი 1.3 ათასი ლარის თაბაშირის (მათ შორის, დღგ 0.2 ათასი ლარი) ხარჯი ხარჯთაღრიცხვაში ჩართული იყო დღგ-ს ჩათვლით. შედეგად, ხარჯები 17.3 ათასი ლარით (17.1+0.2) გაზრდილად იქნა წარმოდგენილი და სამინისტროს მიერ დანარიცხების გათვალისწინებით ზედმეტად არის გადახდილი 21.0 ათასი ლარი.²²

¹⁹ (82.8 ათასი ლარის ეკვივალენტი ჰონორარი + 14.6 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადი + 0.8 ათასი ლარი საავტორო უფლებისთვის 1% ჰონორარიდან + 17.7 ათასი ლარი დღგ).

²⁰ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა.

²¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

²² (17.3 ათასი ლარი ზედმეტი თანხა + 0.5 ათასი ლარი 3% მოგება + 3.2 ათასი ლარი დღგ).



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- სამინისტროს მიერ ლიტერატურული გაზეთის გამოცემისთვის გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „კვირის პალიტრამ“ და ააიპ „ლიტერა G“-მ. ააიპ „ლიტერა G“-ს მიერ დაფიქსირებულმა სატენდერო წინადადების ფასმა შეადგინა 135.6 ათასი ლარი, ხოლო შპს „კვირის პალიტრის“ მიერ დაფიქსირებულმა სატენდერო წინადადების ფასმა - 115.0 ათასი ლარი.

მიუხედავად დაბალი ფასისა, სატენდერო კომისიის მიერ შპს „კვირის პალიტრა“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. კერძოდ, წარმოდგენილად არ იქნა მიჩნეული ანალოგიური გამოცემის შესაბამისი მაკეტი, რადგან ის არ შეიცავდა თექვსმეტივე გვერდს, თუმცა, შპს „კვირის პალიტრის“ მიერ წარმოდგენილი იყო გამოცემის პირველი გვერდის მაკეტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავდა გაზეთის დიზაინს.

სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ტექნიკური დავალებით დაკონკრეტებული არ იყო თუ რა სახის უნდა ყოფილიყო მაკეტი. გაუგებარია, როგორ უნდა წარმოდგენა პრეტენდენტს თექვსმეტივე გვერდის მაკეტი, თუ მას წინასწარ არ ექნებოდა გაზეთი გამოცემული (რაზეც ის არ იყო ვალდებული).

აღსანიშნავია, რომ ააიპ „ლიტერა G“-მ ანალოგიური გამოცემის შესაბამისი მაკეტის სახით სატენდერო კომისიას წარუდგინა იანვრის თვეში გამოცემული გაზეთის 42-ე ნომერი, ე.ი. ტენდერის დამთავრებამდე მას უკვე გამოცემული ჰქონდა გაზეთი.

შპს „კვირის პალიტრის“ დისკვალიფიკაცია განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით, რადგან სატენდერო კომისიას დისკვალიფიკაციამდე არ განუმარტავს მისთვის მაკეტის დაწუნების მიზეზი, არ მიუმართავს პრეტენდენტისთვის მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით და არ განუსაზღვრავს მისთვის გონივრული ვადა დაზუსტებისთვის. საბოლოოდ სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულება (№81, 10.02.2011) ააიპ „ლიტერა G-სთან“ 135.6 ათას ლარზე, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაეკონომიურად გახარჯა 20.6 ათასი ლარი.

- ვენეციის ხელოვნების 54-ე ბიენალეს ფარგლებში ქართული გამოფენის მოწყობის მიზნით სამინისტროსა და იტალიურ კომპანია Palazzo pisani S. Marina-ს შორის 2011 წლის 18 იანვარს გაფორმებული №31 ხელშეკრულების მიხედვით, ქართულ მხარეს იჯარით გადაეცა ქ. ვენეციაში 130 კვ.მ შენობა. საიჯარო ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 15 მაისიდან ამავე წლის 5 დეკემბრამდე. სამინისტროს მიერ მეიჯარის სასარგებლოდ გადარიცხულ იქნა სულ 65.0 ათასი ევრო (157.3 ათასი ლარი). მათ შორის, იჯარის ღირებულებამ შეადგინა 60.0 ათასი ევრო (145.2 ათასი ლარი), ხოლო 5.0 ათასი ევროთი (12.1 ათასი ლარით) დამატებით განისაზღვრა დეპოზიტის თანხა. დეპოზიტი წარმოადგენდა საიჯარო შენობისთვის მიყენებული რაიმე ზიანის გარანტიას. ზიანის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას.

ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში დაფიქსირებული არ არის რაიმე სახის ზიანის არსებობა, რაც გამოკითხვის შედეგად პასუხისმგებელმა პირებმაც დაადასტურეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპოზიტის თანხა მეიჯარეს უნდა დაებრუნებინა, რაც არ გაკეთებულა. ბიენალეს დასრულების შემდეგ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები ისე, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული არ ყოფილა. შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 12.1 ათასი ლარი.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- შპს „ლაშა-2007“-თან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება #47 საკანცელარიო და საოფისე საქონლის შესაძენად. მოწოდებული იქნა 27.7 ათასი ლარის საქონელი. როგორც შპს „ლაშა-2007“-ს მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით და საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით გაირკვა, შპს „ლაშა-2007“ არ წარმოდგენდა აღნიშნული საქონლის არც მწარმოებელს და არც იმპორტიორს. საქონელი მან შეიძინა ადგილობრივ ბაზარზე და სამინისტროს მიყიდა ფასნამატი, რომელიც აღემატება რეალურ საბაზრო ფასებს. მაგალითად: 6.5 ლარად შესყიდული საბეჭდი ქაღალდი (A4 ფორმატი) სამინისტროს მიყიდა 11.24 ლარად, 0.07 ლარად შესყიდული საწერი კალმები მიყიდა 0.47 ლარად და ა.შ. შედეგად აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ლაშა-2007“-ს მიერ რეალურ საბაზრო ფასებზე უსაფუძვლოდ დამატებულია და სამინისტროს მიერ ზედმეტად გადახდილია დაახლოებით 6.3 ათასი ლარი.

ეროვნული მუზეუმის მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში:

- მუზეუმსა და შპს „ვიკინ ინჟინერინგისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (ლიფტების შესყიდვა და მონტაჟი) შესრულების შემოწმების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ შეძენილი ლიფტების შესყიდვის ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 137.0 ათას ლარს. ფორმა №2-ში შეტანილია 161.7 ათას ლარად (დარიცხული დღგ-ს ჩათვლით) ანუ 24.7 ათასი ლარით ზედმეტად. ზედნადები ხარჯების, მოგებისა და დღგ-ს დარიცხვის გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილია 31.2 ათასი ლარი.

აუდიტის მიმდინარეობისას მუზეუმში შემოვიდა შპს „ვიკინ ინჟინერინგის“ წერილი, სადაც მითითებულია, რომ ისინი ადასტურებენ მათ მიერ შპს „აი-სისაგან“ შეძენილ ლიფტებზე დღგ-ს განმეორებით, შეცდომით დარიცხვის ფაქტს, მაგრამ არ აღიარებენ ამ თანხის ბიუჯეტში დაბრუნების აუცილებლობას. წერილს თან ერთვის ე.წ. „დაზუსტებული ინფორმაცია (ფორმა №2)“, სადაც ზემოხსენებული ლიფტების ღირებულება შეტანილია დღგ-ს გარეშე, თუმცა შესრულებულ სამუშაოთა საერთო ღირებულებად ჯამში, მაინც 232.0 ათასი ლარია მითითებული.

აღნიშნულ ფორმა №2-ში თავდაპირველთან შედარებით გაზრდილია მონტაჟის სამუშაოების ღირებულება (9 979.0 ლარით), აგრეთვე ზედნადები ხარჯების (3-დან 5%-მდე) და მოგების (4-დან 10.5%-მდე) მარჟა, რითაც დაბალანსებულია არსებული განსხვავება. აქვე წარმოდგენილია ხელფასების გაცემისა და შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვის დოკუმენტები 31 934.4 ლარზე. აქედან, მხოლოდ 5 540.65 ლარის დოკუმენტებზეა კონკრეტულად მითითებული, რომ ეს ხარჯი ზემოხსენებული ლიფტების დამონტაჟებისათვის არის გაწეული, დანარჩენზე კი არ ჩანს თუ კონკრეტულად რა სახის სამუშაოს შესასრულებლად გადახდილი.

21. ანაზღაურებულია მოწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება თვითღირებულებაზე დარიცხული არაგონივრული ოდენობის ფასნამატი (298.4 ათასი ლარი):

სამინისტროს აპარატის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებების და მათ მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში- 165.0 ათასი ლარი:



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- საახალწლო კონცერტის ლედ მონიტორით ორდღიანი მომსახურებისთვის შპს „სინქროტელისთვის“ შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ საშუალებით გადახდილია 42.0 ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით;

აღნიშნული ტარიფი გაანგარიშებულია მონიტორის ფართის მიხედვით (525 ლარი/მ² დღეში დღგ-ს ჩათვლით). შპს „სინქროტელის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ აღნიშნული ტექნიკის (ელექტრო გენერატორის ჩათვლით) საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 86.1 ათასი აშშ დოლარი. განბაჟების ხარჯების ჩათვლით თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 170.6 ათასი ლარი (შესაბამისი კურსით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული ტარიფი არაგონივრულად მაღალია, რადგან 10 დღიანი მომსახურებით მიღებული შემოსავლით მთლიანად იფარება ინვესტიცია ($17,800 \times 10 = 178,000 > 170,600$);

სამინისტროს მიერ შპს „სოუნდ სითისთვის“ #465/1 ხელშეკრულების ფარგლებში („ანაკლია 24 საათის“ საზეიმო ღონისძიების მომსახურება) გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 43.0 ათასი ლარი. შპს „სოუნდ სითის“ მიერ ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ (პირდაპირი და ზედნადები ხარჯები) შეადგინა 12.3 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 24.1 ათასი ლარი (43.0-6.6დღგ-12.3თვითღირებულება). თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეადგინა 196%.

იმავე შპს „სოუნდ სითი“-სთვის #150 ხელშეკრულების ფარგლებში (ბათუმის ჯაზფესტივალი) შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ საშუალებით გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 73.0 ათასი ლარი. ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვისა და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ (პირდაპირი და ზედნადები ხარჯები) შეადგინა 27.4 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 34.5 ათასი ლარი (73.0-11.1დღგ-27.4თვითღირებულება). თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეადგინა 126%.

ხოლო, #735 ხელშეკრულების ფარგლებში (საახალწლო კონცერტი) შპს „სოუნდ სითისთვის“ შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ საშუალებით გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 30.0 ათასი ლარი. ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვისა და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მომსახურების თვითღირებულებამ (პირდაპირი და ზედნადები ხარჯები) შეადგინა 4.8 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებულმა მოგებამ 20.6 ათასი ლარი (30.0-4.6დღგ-4.8თვითღირებულება). თვითღირებულებაზე ფასნამატმა შეადგინა 429%.

- თამარ მეფის ქანდაკების სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით შეძენილი ბრინჯაოს (4 000 კგ) თვითღირებულებაზე ფასნამატი არაგონივრულია და შეადგენს 24.7 ათას ლარს (35%). ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები ბრინჯაოს შეძენის დამადასტურებელი ანგარიშ-ფაქტურის (ბზ-05 #1836904) მონაცემები არარეალურია: კერძოდ, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია წონა 4000კგ, ერთეულის ფასი 4.27 ლარი, დაფიქსირებული ჯამური ღირებულება დღგ-ს გარეშე - 94.9 ათასი ლარი არ ემთხვევა წონისა და ერთეულის ნამრავლს ($4000 \times 4.27 = 17.1$ ათასი ლარი). შპს „ბი-ეს-სი ელკაბელ ინკ-ის“ მიერ განხორციელებული იმპორტის დოკუმენტების გადამოწმებით გაირკვა, რომ იმპორტირებული ბრინჯაოს



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

(4000 კგ) თვითღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა 70.2 ათასი ლარი²³. მოგებამ შეადგინა 24.7 ათასი ლარი (94.9-70.2). თვითღირებულებაზე ფასნამატი არაგონივრულია და შეადგენს 35%-ს (24.7/70.2);

ეროვნული მუზეუმის მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში - 133.4 ათასი ლარი:

- „ძალისას“ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული დამცავი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის მუზეუმს შპს „ველისთვის“ გადახდილი აქვს 84.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხარჯვის დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 38.8 ათასი ლარი. ფასნამატმა ღირებულებაზე შეადგინა 45.7 ათასი ლარი (117.8%);

- მუზეუმსა და შპს „სუფთა სამყაროს“ შორის გაფორმებული № II-1/47 ხელშეკრულების (დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების შესყიდვა) საფუძველზე შპს „სუფთა სამყაროზე“ 2012 წლის პირველ იანვრამდე გაწეული მომსახურებისათვის გადახდილია 79.4 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხარჯვის დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ ამ მომსახურებისათვის გაწეულმა ნედლეულისა და შრომის ანაზღაურების ხარჯმა ჯამში შეადგინა 37.8 ათასი ლარი. ფასნამატმა აღნიშნულ ღირებულებაზე შეადგინა 41.6 ათასი ლარი (110.1%);

- შპს „ბზ კომპანისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (სხვადასხვა მოწყობილობების შეძენასა და მონტაჟზე) ფარგლებში მუზეუმის მიერ სულ გადახდილია 82.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ შპს „ბზ კომპანის“ აღნიშნული მოწყობილობების მოწოდებასა და მონტაჟზე პირდაპირი დანახარჯების სახით დახარჯული აქვს 52.6 ათასი ლარი. ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს 29.9 ათას ლარს (56.8%);

- შპს „მოდერნ-ვილასა“ და მუზეუმს შორის გაფორმებული № I-1/77 ხელშეკრულების ფარგლებში, (ავეჯის დამზადებისა და მონტაჟი) ანაზღაურებულ იქნა 29.0 ათასი ლარი (სავარაუდო ღირებულება 29.0 ათას ლარამდე) დღგ-ს ჩათვლით წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით გაწეულია 18.2 ათასი ლარის ხარჯი (ნედლეულსა და მასალებზე - 10.6 ათასი, ხელფასებზე - 7.6 ათასი ლარი). ფასნამატი შეადგენს 10.8 ათას ლარს (59.3%);

- სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის შპს „ევროშენის“ ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს 5.4 ათას ლარს (138.5%).

22. სამინისტროს მიერ დაფინანსებული არაპრიორიტეტული ღონისძიებები.

2011 წლის წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებში „კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“ არ იყო გაწერილი, მაშინ როდესაც, აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია 5,385.1 ათასი ლარით. აქედან პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 4 926.5 ათასი ლარით, მათ შორის:

- მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 4 134.3 ათასი ლარით - ქ. ბათუმში საახალწლო ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

²³ (მასალა 23600 ევრო + ტრანსპორტირება და დაზღვევა 3602 ევრო + თანმდევი მომსახურება 3600 ევრო + შიდა ტრანსპორტირება 135 ლარი) ვალუტის კურსით 2.2751 ლარი/ევრო.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან 792.2 ათასი ლარით. მათ შორის: 300.0 ათასი ლარი - აიპ საქველმოქმედო ფონდის - „ხელოვანები თანადგომისთვის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, თუმცა გაუგებარია რატომ ფინანსდება საქველმოქმედო ფონდი (როგორც შუამავალი რგოლი) ბიუჯეტიდან; 177.0 ათასი ლარი - ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის; 165.0 ათასი ლარი - ქ. თბილისში გასამართი მოდის კვირეულის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად²⁴; 66.2 ათასი ლარი - 2011 წლის 8 იანვარს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საახალწლო ღონისძიების - „უკრაინული ახალი წელი საქართველოში“ გამართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

23. ბიუჯეტის დაგეგმვის, ასიგნებების გადანაწილებისა და სარეზერვო ფონდებიდან მოთხოვნილი თანხების შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები:

1. აუდიტის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილი 17, 860.0 ათასი ლარიდან (სულ 58 განკარგულება), 7, 655.0 ათასი ლარის ასიგნებამ კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველზე აისახა სამინისტროს დამტკიცებულ გეგმაში.²⁵ შესაბამისად, დაზუსტებულ ბიუჯეტში აისახა მხოლოდ 10 205.0 ათასი ლარი, საიდანაც სარეზერვო ფონდებში აღდგენილია 834.1 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, სარეზერვო ფონდებიდან გახარჯულად დაფიქსირდა მხოლოდ 10 205.0 ათასი ლარი და არა 17 860.0 ათასი ლარი.

ამასთან, აღნიშნული ფონდებიდან წლის დასაწყისშივე (პირველ კვარტალში) გამოყოფილია 6 385 ათასი ლარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაგეგმვის ეტაპზე, იანვრისთვისაც ვერ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების აუცილებლობა.

2. აუდიტის პერიოდში სამინისტრო ახორციელებდა 18 სხვადასხვა პროგრამას და ღონისძიებას, რომლისთვისაც გაწეულია 24 108.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მთლიანი დაფინანსების 35%). აქედან, სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული 16 პროგრამა/ღონისძიება დაფინანსებულია 16 601.0 ათასი ლარით. აღნიშნულ პროგრამებზე სამინისტროსთვის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი 17860.0 ათასი ლარიდან გაწეულია 13 017.0 ათასი ლარის ხარჯი, რაც მთლიანად სამინისტროს პროგრამების დაფინანსების 54%-ს და აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების 68%-ს შეადგენს.

²⁴ გაურკვეველია რატომ ფინანსდება კერძო ბიზნესი სამინისტროს ბიუჯეტიდან.

²⁵ საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლი - „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით“.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება თავდაპირველი დამტკიცებული გეგმის 166 %-ს (11 336/6 831) შეადგენს:

ათას ლარებში	დამტკიც. გეგმა	დაზუსტ. გეგმა	გადახდა	მ. შ. სარეზ. ფონდი- დან
აპარატი-სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	3 557	4 037	4 006	318
1.სახ. არტისტების, სახ. მხატვრებისა და ლაურეატების სტიპენდიები	839	878	878	39
2.ქართ. პროფ. თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამა	400	818	623	280
3.ქართ.პროფ. მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამა	340	347	347	201
4.სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამა	140	1 444	1 442	1 335
5.ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა	450	615	615	123
6.ქართული კინოს ხელშეწყობის პროგრამა	100	58	58	0
7.ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამა	100	121	121	90
8.ხელოვნების განვითარების სხვა ღონისძიებები	130	128	121	37
9.კულტურის მოღვაწეთა სოციალური დახმარება	72	72	72	0
10.კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა	300	5 388	5 385	4 798
11.რეგიონებში კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	130	709	709	675
12.ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა	300	139	138	0
13.საქ. საერთ. კულტურული პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონი“	3 000	4 198	4 181	2 284
14.საერთაშ. კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებები	180	1 807	1 767	1 474
15.სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	250	107	101	0
16.კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძი-ის ხელშეწყ. პროგრამა	100	46	44	0
აპარატის მიერ განხორ-ლი პროგრამები და ღონისძიებები	6 831	16 875	16 601	11 336
17.საბალეტო ქორეოგ-ლი ხელოვნების განვითარების პროგრამა	680	715	715	35
18.სსიპ - საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა	5 535	6 897	6 792	1 646
სულ პროგრამები / ღონისძიებები	13 046	24 487	24 108	13 017
ადმინისტრაციული და სხვა დანარჩენი ჯამურად	39 954	45 476	45 273	2 491
სულ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	53 000	69 963	69 381	15 508

24. აუდიტის პერიოდში, პროგრამების მიხედვით, სარეზერვო ფონდებიდან მოთხოვნილ იქნა თანხები, მაშინ როცა, შესაბამისი პროგრამების ასიგნებები გადანაწილებულია სხვადასხვა კოდექსა და მუხლებში, რაც დაგეგმვის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მაგალითად:

- სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომლის მისაღწევადაც ერთ-ერთი განსახორციელებელი პროგრამა იყო - „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება“ (ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 818.2 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს თეატრების განვითარება/პოპულარიზაციის ხელშეწყობას, საიუბილეო თარიღების აღნიშვნას და ა.შ.;

- „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების“ პროგრამიდან გადანაწილებულია 140.8 ათასი ლარი, მაშინ როცა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოთხოვნილია 559.0 ათასი ლარი და სამინისტროს სისტემაში 412.8 ათასი ლარის აუთვისებელი რესურსიდან აღნიშნულ პროგრამაზე ეკონომიამ შედგინა 195.7 ათასი ლარი;



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებში (13 სსიპ) სახელმწიფო თეატრებისათვის ზემოაღნიშნული პროგრამიდან გადანაწილებული ასიგნებების შედეგად, თითოეული თეატრი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია მხოლოდ 7.0 ათასი ლარით, მაშინ როცა მათი არასაბიუჯეტო შემოსავლებიც მწირია და არც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება არ არის საკმარისი თეატრების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის.

25. აუდიტის პერიოდში გაწეული ხარჯები:

შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის საშტატო რიცხოვნობა საბიუჯეტო განაცხადით შეადგენდა 137 ერთეულს 1 670 ათასი ლარის თანამდებობრივი სარგოსა და 332 ათასი ლარის საპრემიო ფონდით. სულ შრომის ანაზღაურების ფონდი წარდგენილი იყო 2 002 ათას ლარით, რაც წლის განმავლობაში გაზრდილია 165 ათასი ლარით საპრემიო ფონდის ხარჯზე (საპრემიო ფონდი გაზრდილია 2-ჯერ მეტად - 352 ათასი ლარით და შეადგენს 684 ათასი ლარს).

მთავრობის განკარგულების თანახმად, საშტატო ნუსხა განისაზღვრა 129 ერთეულით. ფაქტობრივად მომუშავეთა რიცხოვნობა საშუალოდ 121 ერთეულს შეადგენდა. 2011 წელს გაწეული 2 166.4 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯის 54%) შტატით მომუშავეთათვის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1 482,4 ათას ლარს (68,4%), პრემია - 684 ათას ლარს (31,6%). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა საშუალოდ 46%, ხოლო დეკემბერში - 88%. წლის განმავლობაში მომუშავეთათვის დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 300 ლარიდან 78 920.0 ლარამდე.²⁶

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

აპარატის შტატგარეშე მომუშავეებისათვის გაწეულია 195 ათასი ლარის ხარჯი. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა წლის განმავლობაში შეადგენდა 21-23 ერთეულს, ხოლო დეკემბერში 23 ერთეულს, რაც საშტატო რიცხოვნობის 18%-ს შეადგენს, მაშინ როცა მთავრობის განკარგულებით²⁷ შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 20 ერთეულით (16%). შედეგად, აღნიშნული მუხლით გაწეულია ზედმეტი ხარჯი.²⁸

²⁶ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრთა პრემიების გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან. აუდიტის ობიექტის შემთხვევაში მთავრობის წევრზე პრემია გაცემულია სამინისტროს ასიგნებებიდან.

²⁷ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №126 განკარგულება.

²⁸ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

წარმომადგენლობითი ხარჯი

სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში“ სუბსიდიის („სუბსიდიები-დანარჩენი“) მუხლით გაწეული ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებასთან და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით ანაზღაურებული წარმომადგენლობითი ხარჯი, მივლინებასთან დაკავშირებით წარმომადგენს უკანონო (9.5 ათასი ლარი), ხოლო ღონისძიებებთან დაკავშირებით - არაეკონომიურად (34.3 ათასი ლარი) გაწეულ ხარჯებს, კერძოდ:

- ცენტრის დირექტორის თამარ ტატიშვილის და დისტრიბუციისა და ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, დავით ვაშაძის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების დროს ანაზღაურებულია 9.5 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი;²⁹

- საგანმანათლებლო პროგრამის (ევროპული კინოტრენინგი - MINI EAVE) ფარგლებში კინოპროექტებისა და ქსელური მუშაობის განვითარების პროფესიული ტრენინგის მომსახურების ღირებულების (24.03.2011, №12 ხელშეკრულება -53.0 ათასი ლარი) გარდა ანაზღაურებულია 13.4 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი;

- კინოს სექტორში ეკონომიკური რუკის შექმნის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე შპს BOP Consulting-თან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების (30.03.2011) თანახმად, ანაზღაურებულია კონსულტაციის ჰონორარი 49.6 ათასი ლარის ოდენობით. თანმდევი წარმომადგენლობითი ხარჯი შეადგენს 6.5 ათას ლარს;

- ოფიციალური მოწვევის გარეშე ცენტრის დირექტორის 2011 წლის 11 ივლისის № 104 ბრძანების თანახმად, რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენლების გაცნობითი ხასიათის ვიზიტთან დაკავშირებით, ანაზღაურებულია 6.5 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი („ფონდის მიზანია კინოპროექტების განსახორციელებლად ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისათვის ხელშეწყობა გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ“);

- ოფიციალური მოწვევის გარეშე ცენტრის დირექტორის 2011 წლის 04 ნოემბრის №175 ბრძანების თანახმად, უცხოელი პროდიუსერების სტუმრობასთან დაკავშირებით (მხატვრული ფილმის პროექტისთვის „ეპიკი“ შესაფერისი გადასადები ადგილების მონახვის მიზნით) გადახდილია 7.9 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი.

²⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება. საქართველოს კანონმდებლობით არ არის დაშვებული სსიპ-ების თანამშრომელთა მიერ მივლინებაში ყოფნისას წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები

სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ მიერ ფილმების გადაღების დაფინანსება

2011 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ დაფინანსებულია 18 ფილმი 1 662.0 ათასი ლარის ოდენობით. პროექტის კონკურსში გამარჯვების საფუძველზე დაფინანსება წარმოებს ცენტრის მხრიდან თანადაფინანსების სახით. პროდიუსერის მიერ წარმოდგენილი მთლიანი ბიუჯეტის (ალტერნატიული ბიუჯეტის ჩათვლით) შესაბამისად განისაზღვრება თანადაფინანსების სახელშეკრულებო პროცენტული წილი და თანხა. თუმცა, პროდიუსერების მიერ ხარჯთაღრიცხვები წარმოდგენილია ხარჯების დეტალურად ჩაშლის გარეშე (გადასაღები დღეების, სცენების რაოდენობების გარეშე).

პროდიუსერის მიერ ცენტრისგან მიღებული სახსრების გახარჯვის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები ისე, რომ ცენტრისთვის უცნობი რჩება კინოპროდუქციის მთლიანი ფაქტობრივი ბიუჯეტი.

თითოეული წილის მფლობელი (დამფინანსებელი) დამოუკიდებლად ახორციელებს თანხების ხარჯვას (ან არაფულადი სახის შენატანის განხორციელებას). შედეგად, ვერც პროდიუსერი აკონტროლებს ფილმის რეალურ ბიუჯეტს და წინასწარ განსაზღვრული წილების შენატანებთან შესაბამისობის რეალობას.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ახორციელებს პროექტების დაფინანსებას, პროდიუსერებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული ფილმების გაქირავებიდან მისაღები მოგების განაწილებაში ცენტრის მონაწილეობის საკითხი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობის შესაბამისი წილი მოგებიდან მთლიანად რჩება პროდიუსერს და უცნობი რჩება მოგებიდან მიღებული თანხების შემდგომი ხარჯვის მდგომარეობა (ხმარდება თუ არა ისევ ქართული კინოს განვითარებას).

26. ეროვნული მუზეუმის ექსპონატების დაცვა-აღრიცხვისა და დროებით გადაცემის საკითხებში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები და მაღალი რისკის შემცველი გარემოებები.

ეროვნული მუზეუმის სტრუქტურული ერთეულები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მას ჩაბარებული აქვს ქვეყნის მნიშვნელოვანი, როგორც მატერიალური ისე ისტორიული ფასეულობები. საქართველოს კანონით „მუზეუმების შესახებ“ ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს: სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა, სამუზეუმო ფონდის აღრიცხვა და სისტემატიზაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება და ა. შ. იმის გამო, რომ ამავე კანონით სამუზეუმო ექსპონატები ბუღალტრულ აღრიცხვას არ ექვემდებარება,³⁰ მათი დაცვა-აღრიცხვის საკითხი მნიშვნელოვანი რისკების მატარებელია. მიმდინარე აუდიტით სამ მუზეუმში, კერძოდ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში (შემდგომში – „ჯანაშიას მუზეუმი“), შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (შემდგომში – „ხელოვნების მუზეუმი“) და საქართველოს ეროვნულ გალერეაში (შემდგომში – „გალერეა“), განხორციელდა არსებული ფონდების დაცვა-აღრიცხვის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმება,

³⁰ „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ამასთან, გაანალიზდა სხვა მუზეუმებიდან წარმოდგენილი ოფიციალური ცნობები. შედეგად, ამ სფეროში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები და მნიშვნელოვანი რისკები, რაც ძირითადად, ათწლეულების მანძილზე, მოქმედი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა სისტემატური შეუსრულებლობითაა გამოწვეული, თუმცა გარკვეულ უარყოფით გავლენას დაუხვეწავი ნორმატიული აქტები და არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც ახდენს.

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, სულ მუზეუმში დაცულია 137 ფონდი, ხოლო ექსპონატების საერთო რაოდენობა 2 მილიონს აღწევს.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით“. რეალურად ასეთი პირობები კი მხოლოდ რამდენიმე შენობაშია, ისიც ნაწილობრივ (მაგალითად: ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა), სხვა მუზეუმებში კი სამუზეუმო ექსპონატების შენახვის არასათანადო პირობებია. მაგალითად, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდსაცავს ელექტროენერგიაც კი არ მიეწოდება.

გალერეის ფერწერის ფონდსაცავში არ არის ფარდები, სიგნალიზაცია, გათბობისა და ვენტილაციის სისტემა და ა.შ. მტვერი არ იწმინდება რეგულარულად. იატაკი ქვიშა-ცემენტის ხსნარითაა დაგებული და პრაქტიკულად შეუძლებელია იქ მტვრის მოსპობა.

ე.წ. „ქარვასლის“ რამდენიმე ფონდსაცავი სხვენშია განთავსებული, ხოლო გალერეის ქანდაკებების ფონდსაცავი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარდაფში, სადაც სრულიად შეუსაბამო პირობებია ექსპონატების შესანახად. შესაბამისი ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი „აკრძალულია სხვენისა და სარდაფის ფართის ფონდსაცავებად გამოყენება“.

ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებია: ა) ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი, ბ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი, გ) სამეცნიერო-დამხმარე წიგნი, დ) დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი, ე) მვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაციით, დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი მხოლოდ ხელოვნების მუზეუმს, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიული მუზეუმს და ქარვასლას აქვს გახსნილი. რამდენიმე ფონდში (მაგალითად, შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების ფონდებში) არ არის მვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვის სპეციალური წიგნები და ამ სპეციფიკური ექსპონატების აღრიცხვა მუზეუმის ჩვეულებრივ საინვენტარო წიგნში ხორციელდება.

ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საინვენტარო წიგნების აღწერა უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, პირველ იანვრამდე, რაც მუზეუმში არც ერთხელ არ განხორციელებულა.

ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „სამუზეუმო ნივთის დასახასიათებლად განსაკუთრებით სრულყოფილ დოკუმენტად ითვლება საინვენტარო წიგნი, სადაც მოცემულია მასალის ვრცელი აღწერილობა, კლასიფიკაცია და შესწავლის შედეგები“, ჯანაშიას მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციის იარაღის ფონდში კი ინახება მხოლოდ ერთი საინვენტარო წიგნი, რომელიც მოიცავს 1935 წლამდე შემოტანილ ექსპონატებს. ამის შემდეგ აღნიშნულ ფონდში საინვენტარო წიგნი აღარ წარმოებს. ამავ კოლექციის რკინისა და ტყავის ფონდებში საინვენტარო წიგნებს საერთოდ არ აწარმოებენ,



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ამიტომ ამ ფონდებში ინვენტარიზაცია-შეჯერება ხორციელდება ან წინა ინვენტარიზაციის მასალებთან, ან ცენტრალურ შემოსულობათა წიგნებთან და გადაცემის აქტებთან შედარების გზით, რაც არასაიმედო, ძალიან შრომატევადი და დროში გაწელილი პროცესია და სასწრაფოდ საჭიროებს გამოსწორებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგ შემთხვევაში საინვენტარო წიგნებში მოცემული მასალის აღწერილობა არასაკმარისად ვრცელი და ამომწურავია. მაგალითად: ეთნოგრაფიული კოლექციის ძვირფასი ლითონების ფონდში საინვენტარო ნომრით 92-1911/8-ა რეგისტრირებულია „ქამარი ვერცხლის, მონეტებით“, თუმცა არ არის მითითებული ის გარემოება, რომ ეს მონეტები 60 ერთეულზე მეტია, რაც არამართებულია. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა ექსპონატთან დაკავშირებითაც.

ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტების მიხედვით „მუზეუმის საინვენტარო წიგნი, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, შევსებამდე უნდა დაინომროს, გაეყაროს ზონარი და დაილუქოს“. „საინვენტარო წიგნში ჩაწერას წინ უძღვის საინვენტარო ბარათის შედგენა, რომლის გრაფები უნდა ემთხვეოდეს საინვენტარო წიგნის გრაფებს“. ხოლო, „საინვენტარო ბარათს ავსებს შესაბამისი განყოფილების თანამშრომელი“. რეალურად, რამდენიმე საინვენტარო წიგნი არ არის დალუქული (მაგ: ჯანაშიას მუზეუმის „კახეთის“ ფონდის (ნეკრესის), ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს, უფლისციხისა და საირხეს ფონდების რამდენიმე საინვენტარო წიგნი და ა.შ.), ხშირ შემთხვევაში არ წარმოებს საინვენტარო ბარათები.

„საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტების მიხედვით სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვა ხორციელდება სამუზეუმო ფონდის მცველთა (ამჟამად-„კურატორები“) მიერ, ხოლო, მცველის განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლის შემთხვევაში, დირექცია ვალდებულია შექმნას კომისია და უზრუნველყოს ფონდების გადაბარება სხვა მუშაკისათვის. ამასთან, „მცველს შესაბამისი აქტით ეკისრება ფონდზე მატერიალური პასუხისმგებლობა, სადაც მითითებული იქნება ჩაბარების მომენტში მათი დაცულობა.“ ანალოგიური მოთხოვნები დაფიქსირებული 1968 წლიდან მოქმედ ინსტრუქციაშიც. მიუხედავად ამ ინსტრუქციების იმპერატიული მოთხოვნისა, დღევანდელი მდგომარეობით, 74 ფონდი შესაბამისი აქტით არ არის გადაბარებული, თუმცა მათი მცველები ოფიციალურად არიან დანიშნულნი და ისე ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, „მცველი უზრუნველყოფს ფონდის დროულ ინვენტარიზაციას“, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა ვადებში უნდა ჩატარდეს ფონდების აღრიცხვა-შეჯერება. არ არსებობს კონკრეტული ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა ინვენტარიზაცია-შეჯერების შესახებ, რის გამოც ეს პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება.

როგორც გაირკვა, წლების (ათწლეულობით) მანძილზე არ ტარდებოდა მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია და შედეგების გამოყვანა ანუ „შეჯერება“. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არსებობს შეუჯერებელი, მოუწესრიგებელი, პასუხისმგებელ პირებზე გადაუბარებელი და ზოგჯერ განადგურების ზღვარზე მყოფი ფონდები.

1960-2007 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარებულია 96 ფონდში, საიდანაც შეჯერებულია (შესაბამის საინვენტარო წიგნებთან მათი შედარება) 88 ფონდი და დანაკლისად დაფიქსირდა 866 ერთეული. 2007-



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2012 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარებულია 97 ფონდში, საიდანაც შეჯერებულია მხოლოდ 25. ოპერატიული ინფორმაციით ვერ მოიძებნა 274 ექსპონატი.

ამრიგად, 1966 წლის შემდეგ მუზეუმის ფონდების სრულყოფილი აღწერა არ მომხდარა. მეტიც, ათწლეულების განმავლობაში ფონდების სხვა მცველებზე გადაბარება ძირითადად წინა მცველის გარდაცვალების ან პენსიაში გასვლის გამო ხდებოდა, ისე რომ არ ტარდებოდა ფონდების გადაბარების პროცედურა, ანუ ახალ მცველს ბარდებოდა საფონდო საცავის გასაღები და ლუქი და არა შეჯერებული ფონდი. შესაბამისად, არ ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები. აღსანიშნავია, რომ 11 შემთხვევაში შესაბამისი ფონდის ახალ მცველზე გადაბარების აუცილებლობა შეიქმნა ძველი მცველის გარდაცვალების გამო, ასეთ დროს კი ინვენტარიზაცია აუცილებელია. მიუხედავად ამისა, 7 შემთხვევაში ინვენტარიზაცია და შეჯერება არ ჩატარებულა და ახალ მცველს შესაბამისი აქტით არ დაკისრებია ამ ფონდზე მატერიალური პასუხისმგებლობა და ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს.

მაგალითად: ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფონდია არქეოლოგიური კოლექციების საგანძურის ფონდი, სადაც თავმოყრილია წინარე ანტიკური, ანტიკური, ანტიკურ-ელნისტური და ფეოდალური ხანის ოქრომქანდაკებლობის, ტორეტიკის, საიუველირო მხატვრული ხელოსნობის, ტიხრული, ტვიფრული და ფერწერული მინაწერის, იარაღ-საჭურვლის, ნუმიზმატიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ქართველ მეფეთა ინსიგნიებისა და სფრაგისტიკის დიდი კოლექციები. ამ ექსპონატთა საერთო რაოდენობა ათი ათასს აღემატება, რომელთა დიდი ნაწილი თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით ფასდაუდებელ შენაძენს წარმოადგენს ასევე მსოფლიო კულტურისათვის. აღნიშნულ ფონდში 1962 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა 40 ერთეულის დანაკლისი. მას შემდეგ საგანძურის სრული, ოფიციალური ინვენტარიზაცია-შეჯერება აღარ ჩატარებულა, თუმცა არსებობს საგანძურის განყოფილების იმდროინდელი გამგის, გ.აბრამიშვილის 1979 წლის 25 ოქტომბრის ინფორმაცია, რომელსაც ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი და სადაც მითითებულია, რომ 1977-1979 წლებში ჩატარდა განყოფილების საფონდო მასალისა და ექსპოზიციის მთლიანი შეჯერება. შედეგად გამოვლინდა მხოლოდ იმ ექსპონატების დანაკლისი, რომლებიც 1962 წლის შეჯერების დროსაც არ აღმოჩნდა ადგილზე. აქვე დაფიქსირებულია ის გარემოება, რომ ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ შეჭედილი სახარების ოქროს ყდები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ისე, რომ მათ გადაცემაზე შესაბამისი დოკუმენტი არ არსებობს. აუდიტის ჯგუფის აზრით მუზეუმის ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს ამ და მსგავსი გარემოებებით და თუ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი, ოფიციალურად გააფორმონ ამ ექსპონატების გადაცემა, რის შემდეგაც ისინი უნდა ამორიცხონ საინვენტარო წიგნიდან, რათა ყოველ შეჯერებაზე არ ფიქსირდებოდეს დანაკლისებად.

აღსანიშნავია, რომ საგანძურის განყოფილების მაშინდელი გამგის და ფონდის მცველის, გ.აბრამიშვილის გარდაცვალების გამო, 1992 წლიდან ფონდის მცველად მუშაობს ე.კავლელაშვილი, რომელსაც საგანძური ოფიციალურად არ ჩაბარებია, თუმცა მისივე განმარტებით, ფონდში 1976-1994 წლებში მიმდინარეობდა ხელახალი აღწერა-შეჯერება, რასაც თვითონაც ესწრებოდა. ამავე დროს ხდებოდა ძველი დავთრების გადაწერა და ნივთების აღწერილობის დაზუსტება. შედეგად გაკეთდა 18 ახალი დავთარი, თუმცა ეს პროცესი არ დასრულებულა და ხელშეწყობის პირობებში დაახლოებით 16-18 თვე არის საჭირო ამ პროცესის დასამთავრებლად და ექსპონატების ისეთნაირად განსათავსებლად, რომ მარტივად შეიძლებოდეს მათი მოძებნა. დღეის მდგომარეობით ამ ფონდში დაცული 10 ათასზე



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მეტი ექსპონატიდან შერჩევითი შემოწმების მიზნით რომელიმე კონკრეტულის მოსაძებნად დიდი დროა საჭირო, რაც გარკვეული რისკის შემცველია.

ამავე მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კოლექციის ფერწერის ფონდის მცველის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის გამო, 1993 წლიდან ამ პოზიციაზე დაინიშნა ი.ქურდაძე, ისე რომ ეს ფონდები ოფიციალური მიღება-ჩაბარების აქტით არც მას მიუღია. ამ ხნის მანძილზე ამ ფონდებში ინვენტარიზაცია-შეჯერება არ ჩატარებულა და ეს პროცესი მხოლოდ ახლა მიმდინარეობს. წინასწარი შედეგებით გამოვლენილია 24 ექსპონატის დანაკლისი.

გარდა ამისა, 62 ექსპონატი დროებით სარგებლობაშია გადაცემული სხვადასხვა ორგანიზაციებზე და ჯერ არ დაბრუნებულა.

აუდიტის მიმდინარეობისას, კერძოდ 2012 წლის 29 ივნისს, მუზეუმის გენერალური დირექტორის №212 ბრძანებით დაიწყო ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ფონდების შეჯერების პროცესი, რისთვისაც შესაბამის კომისიებს ვადა მიეცათ 30 ოქტომბრამდე. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ფონდებში რეგისტრირებული ექსპონატების არსებობის რეალობის დადგენა, დანაკლისის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში შერჩევითი გადამოწმების დროულად ჩატარება, რაც დღეის მდგომარეობით აუდიტის ჯგუფისათვის შეუძლებელია.

მუზეუმებში დამკვიდრებული იყო ინვენტარიზაცია-შეჯერების არასწორი პრაქტიკა. შეჯერება ტარდებოდა არსებული ექსპონატების საინვენტარო წიგნების ჩანაწერთან და არა წინა ინვენტარიზაციის მონაცემებთან შედარებით. შედეგად, წინა ინვენტარიზაციით დაფიქსირებული დანაკლისი კვლავ დანაკლისად ფიქსირდებოდა, ისე რომ არ ხდებოდა გამიჯნვა, თუ, რა დროს წარმოიშვა ეს დანაკლისი და კონკრეტულად ვინ იყო მასზე პასუხისმგებელი პირი. ამჟამად მიმდინარე შეჯერებების დროს 13 ფონდში დაფიქსირებული ე.წ. დანაკლისი, შეადგენს - 200 ერთეულს, თუმცა არ არის დადგენილი როდის და ვის მიერ იქნა ეს დანაკლისი დაშვებული.

მაგალითად, 2002 წელს სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ისტორიული მიმართულების აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კოლექციების ე.წ. „ძველი და მიმდინარე“ (მ.შ. მოსკოვის დონის მონასტრის) და „კაზრეთის“ ფონდების მცველის მ.სინაურიძის გარდაცვალების გამო ეს ფუნქცია ისე დაეკისრა ლ.გვრიტიშვილს, რომ ოფიციალური მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა. მას შემდეგ რამდენჯერმე განხორციელდა ფონდების რეორგანიზაცია, მაგრამ 2011 წლამდე ოფიციალური აღწერა-შეჯერება არ ჩატარებულა. 2011 წელს ჩატარებული აღწერა-შეჯერების შედეგად გამოვლინდა 90 საინვენტარო ნომრით გატარებული 149 ექსპონატის დანაკლისი. ძირითადად, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ნაკეთობები, ფოტოები და ა.შ. მათ შორის, ადგილზე არ აღმოჩნდა 179 გრამი ვერცხლისაგან დამზადებული ბადია (დაზიანებული), რომელიც საინვენტარო წიგნის მონაცემების მიხედვით ძვირფასი ლითონების ფონდშია გადაცემული, რაც იმ ფონდის მაშინდელი მცველის (ლ. ჯავახიშვილის) ხელმოწერით დასტურდება, მაგრამ არ არის მიღება-ჩაბარების აქტი და ვერც ეს ექსპონატი მოიძებნა ძვირფასი ლითონების ფონდში. ფონდების კურატორის, ლ. გვრიტიშვილის განმარტებით, მან 2006 წელს ჩაატარა არაოფიციალური აღწერა და ეს ექსპონატები მაშინაც არ იყო ადგილზე, თუმცა ეს ფაქტი დოკუმენტურად არ გაფორმებულა, რაც ასევე აღრიცხვის მოუწესრიგებლობაზე მიუთითებს.

მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ ფონდებში დანაკლისების ძირითად მიზეზს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები: ხშირად აღურიცხავად ხდებოდა ექსპონატების



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საგამოფენო დარბაზებში გატანა, ასევე ექსპონატების სხვადასხვა ფორმით გადაადგილება, მათ შორის, სხვადასხვა დაწესებულებებზე გადაცემა შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების გარეშე და ა.შ.

ზოგჯერ, გამოფენის მომზადების დროს, ექსპონატებიდან საინვენტარო ნომრის აღმნიშვნელ ეტიკეტს ხსნიდნენ და საგამოფენო ექსპონატების ნუსხას აქტით არ აფორმებდნენ, რაც დღეს ქმნის გაურკვევლობას, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში ვერ ხერხდება ძველი გამოფენებიდან ფონდებში დაბრუნებული ნივთების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, ხშირია „დანაკლისად“ მიჩნეული ექსპონატების პოვნის შემთხვევები, რაც აღრიცხვის საკითხის სერიოზულ ხარვეზებზე მიგვითითებს და რაზედაც შემდეგი მაგალითები აშკარად მიუთითებს: წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების 16 ფონდიდან ცხრაში 2009 წელს ჩატარებულია ინვენტარიზაცია და შეჯერება. აქედან 7 ფონდში გამოვლინდა 126, მ.შ. განჯისკარის ფონდში 19 ექსპონატის დანაკლისი. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ალევის“, „ურბნისისა“ და „განჯისკარის“ ფონდების მცველად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ოფიციალური მიღება-ჩაბარების გარეშე დაინიშნა გ. კიკნაძე. 2009 წლის იანვარ-თებერვალში ამ ფონდებში ჩატარდა აღწერა-შეჯერების პროცესი და დაფიქსირდა 43 ექსპონატის დანაკლისი. ამ დროს, XX საუკუნის 90-იანი წლებში მოწყობილი - შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ექსპოზიციიდან განჯისკარის ფონდში, დღეს რამდენიმე ათეული ექსპონატია, რომლებსაც არ გააჩნია შესაბამისი ნომერი და ჯერჯერობით ვერ დადგინდა, თუ რომელ კოლექციას განეკუთვნება ისინი. ამჟამად მიმდინარეობს ფონდების სხვა მცველზე გადაბარების და შეჯერების პროცესი.

ამავე კოლექციების „კახეთის“ ფონდში 2004 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტით დაფიქსირდა 18 ექსპონატის დანაკლისი. 2009 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით კი კიდევ 10 ექსპონატის დანაკლისი აისახა აქტში. 2012 წელს, აუდიტის პარალელურად კვლავ მიმდინარეობდა ამ ფონდის შეჯერება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ 15 ექსპონატი ზემოხსენებული 28 ერთეულიდან უკვე ნაპოვნი იყო.

უმუალოდ აუდიტის მიმდინარეობისას ეთნოგრაფიული კოლექციების იარაღის ფონდში აღმოჩნდა შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების „გ“ ფონდში აღრიცხული და დანაკლისად მიჩნეული 107 სმ სიგრძის ე.წ. ორნამენტირებული ზარბაზანი, რომელზედაც შენიშვნაში მითითებული იყო, რომ „ფონდში მის არსებობას არ ადასტურებს არც ერთი თანამშრომელი 60-იანი წლებიდან“.

ჯანაშიას მუზეუმში მარტო ეთნოგრაფიულ კოლექციაში გაერთიანებულია 15 ფონდი (იარაღი, კერამიკა, სპილენძი, ძვირფასი ლითონები და ა.შ.) აქედან 13-ში ინვენტარიზაცია ჩატარებულია, მაგრამ 10-ში შედეგები ჯერ არ არის გამოყვანილი. ე.წ. ფონდების შეჯერება მხოლოდ 3 ფონდშია (დროშები, ტყავი და ფაიფური) დასრულებული. ამ ფონდებში წინა ინვენტარიზაცია-შეჯერება 1966-1967 წლებში იყო ჩატარებული. ახალი ინვენტარიზაცია-შეჯერებით, რომელიც 2011 წელს ჩატარდა ტყავის ფონდში, გამოვლინდა 10 ექსპონატის დანაკლისი (მაგალითად: „ქურქი - ცხვრის, მამაკაცისათვის“, „ჯიხვის ტყავი - გამოყვანილი თავით“, „კასრი - ტყავის, წყლის საზიდი“ და ა. შ.).

დარჩენილ 2 ფონდში დღესაც მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ორ ფონდში (იარაღისა და ძვირფასი ლითონების), წინა ინვენტარიზაცია - შეჯერება 2005-2006 წლებშია ჩატარებული და შედეგად გამოვლენილია შესაბამისად 47 და 149 ერთეულის დანაკლისი. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი ჯერ არ გამხდარა მსჯელობის საგანი.

აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციის ძვირფასი ლითონების ფონდი შეიქმნა 1950 წელს, რომლის პირველ უფროს მცველად დაინიშნა ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელი მ. ჩართოლანი (1957-2000 წწ.), რომლის გარდაცვალების გამოც (2002 წ. მარტი) ამ ფონდის მცველად დაინიშნა ლ. სოსელია,



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

თუმცა ფონდის საბოლოო აღწერა და გადაბარება ვერ მოხერხდა (მიმდინარეობდა აღწერა-შეჯერების პროცესი) მისი გარდაცვალების გამო (2005 წ. იანვარი), ანუ ეს პროცესი 2002-დან 2005 წლამდე გრძელდებოდა. 2005 წლის აპრილში, ხელახალი აღწერა-შეჯერების შემდეგ ფონდი ჩაბარდა ახალ მცველს - ნ. გელაშვილს. ამ აღწერის დროს ადგილზე აღმოჩნდა 68 ერთეული უნომრო ექსპონატი, რომლებიც ცენტრალურ დავთრებში არ არის რეგისტრირებული. გარდა ამისა, ადგილზე არ აღმოჩნდა 131 საინვენტარო ნომრით აღრიცხული 149 ექსპონატი. ფონდში არსებული დანაკლისი მასალასთან მათი შედარება სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა - მათი აღწერილობები არ ემთხვევა ერთმანეთს.

2005 წელს ჩატარებულ ფონდის აღწერა-შეჯერებას ესწრებოდა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი მ. ქაფიანიძე, რომელიც 2007 წლიდან იარაღისა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორია. 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო აღნიშნული ფონდის აღწერისა და მ. ქაფიანიძისათვის გადაბარების პროცესი, ანუ 2008 წლიდან დღემდე ეს მნიშვნელოვანი ფონდი ოფიციალურად გადაბარებული არ არის, ხოლო ზემოხსენებული დანაკლისის შესახებ არანაირი რეაგირება არ გაკეთებულა.

მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ფონდის შეჯერების დროს მასში აღმოჩენილა სხვა ფონდის კუთვნილი ან დანაკლისად ჩათვლილი ექსპონატები, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამჟამად სხვა ფონდებში მიმდინარე შეჯერების პროცესში კიდევ აღმოჩნდეს დანაკლისად მიჩნეული ზოგიერთი ექსპონატი.

ზემოაღნიშნულის გამო, ფონდების შეჯერების პროცესის სრულ დასრულებამდე ე.წ. დანაკლისის ზუსტი ოდენობის დადგენა და შესაბამისად სწორი დასკვნების გამოტანა ვერ ხერხდება.

ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების მიხედვით, „მუზეუმში ვალდებულია სისტემატურად ჩაატაროს ფონდის ხელახალი აღრიცხვა, ანუ ფონდის შეჯერება შემოსულობათა და საინვენტარო წიგნებთან, აქტებთან და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან“, ხოლო „თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ექსპონატები დაკარგულია, შეჯერების აქტი წარედგინება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს დირექტორის ახსნა-განმარტებითი ბარათის დართვით (ბარათში აღნიშნული უნდა იყოს ექსპონატთა დაკარგვის მიზეზებისა და მიღებული ზომების შესახებ)“. მუზეუმის დაარსებიდან დღემდე სამინისტროსათვის არც ერთი შეჯერების აქტი არ არის გადაგზავნილი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემთხვევაში გამოვლენილია ექსპონატების დანაკლისი.

1990 წელს ეროვნებათშორისი ურთიერთობის კვლევის ცენტრის დახურვის გამო ჯანაშიას მუზეუმს მუდმივ დასაცავად გადმოეცა ცენტრის კუთვნილი მემორიალური ხასიათის ნივთები, ხელნაწერი წიგნები, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ტყავის, ქსოვილების, მინის, ფაიფურის, სპილენძის ნაწარმი, რომელიც შესაბამისი აქტებით ჩაიბარა მუზეუმის მაშინდელმა თანამშრომელმა - ფონდის მცველმა, ნ. ზუმბურიძემ. 1995 წელს კი მისი გარდაცვალების შემდეგ ცენტრის ფონდის მცველად დაინიშნა გ. ჯავახიშვილი, რომელმაც 17 თებერვალს მიიღო ფონდი, თუმცა მასალების სრულყოფილი აღწერა-შეჯერება და ფონდის მოწესრიგება არ მომხდარა.

ეს ექსპონატები ცენტრალურ შემოსულობათა წიგნში გატარებულია მხოლოდ 1997 და 2003 წელს გაცემული ორი საკოლექციო ნომრით, სადაც არ არის მითითებული ექსპონატების რაოდენობა, შემოსვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ნომერი და თარიღი. მათზე მუზეუმში გახსნილია სამი საინვენტარო წიგნი, სადაც გ. ჯავახიშვილმა გაატარა მხოლოდ მემორიალური ნივთები. ამ ექსპონატებისათვის სხვა სარეგისტრაციო დავთარი არ არსებობს.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2011 წელს გ. ჯავახიშვილზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „საქართველოს ეკონომიურ საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გატანის წესის დარღვევის მცდელობის“ ბრალდებით. მიუხედავად იმისა, რომ საქმე არ ეხებოდა მუზეუმის კუთვნილ ექსპონატს, მას 4 აპრილს, საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე შეუჩერდა შრომითი ხელშეკრულება, ხოლო 27 ოქტომბერს განთავისუფლდა სამსახურიდან.

2011 წლის 4 აპრილის №80 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, გ. ჯავახიშვილის დაუსწრებლად დაიწყო მასზე რიცხული ფონდის აღწერა-შეჯერების პროცესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, საბოლოო შედეგი არ დამდგარა, თუმცა ექსპონატების უმეტესი ნაწილი უკვე აღწერილია და ცნობილია შუალედური შედეგები. იმის გამო, რომ არც შემოსულობათა და არც საინვენტარო დავთრებში არ არის ყველა ექსპონატი დარეგისტრირებული, შეჯერების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა გადმოცემის აქტები. კომისიის მიერ აღწერა-შეჯერების პროცესში გამოვლენილ უნომრო და დაურეგისტრირებელ ექსპონატებს მიეცა საინვენტარო ნომრები და ჩაბარდა ფონდის ახალ მცველს, თუმცა მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დარეგისტრირებული საინვენტარო წიგნებში.

წარმოდგენილი ინფორმაციით ინვენტარიზაციით გამოვლინდა:

ა) 18 ერთეული ექსპონატის დანაკლისი. მაგალითად: ადგილზე არ აღმოჩნდა 1990 წლის 26 ნოემბრის №6 აქტით გადმოცემული „საქართველოს რუკა სამთავროების დროშებით“, „ბელოსტოკის ქვეითი პოლკის დროშა“, „ტყავის მასალისაგან დამზადებული საქართველოს რუკა ბრინჯაოს მედალიონებით და ქანდაკებებით“, 1990 წლის 28 ნოემბრის №9 აქტით გადმოცემული 15 მოკავშირე რესპუბლიკის ფოტო-ალბომი და ა.შ.

ბ) ადგილზე აღმოჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ექსპონატები, რომელთა გადმოცემის აქტები ვერ იქნა მოძიებული. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ექსპონატების ინვენტარიზაცია, თუმცა შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის გამო შეუძლებელია შეჯერება და შედეგის გამოყვანა. ამავე მიზეზით აუდიტის შედეგად ვერ დადგინდა, ყველა ექსპონატი ადგილზეა თუ არა.

ამრიგად, მუზეუმში წლების მანძილზე ინახებოდა, როგორც საინვენტარო დავთრებში გაუტარებელი, ისე საერთოდ უსაბუთო, აღურცხავი ექსპონატები, რაც ეწინააღმდეგება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ექსპონატები (ქსოვილები, ხელსაწყოები, სუვენირები, გაურკვეველი დანიშნულების ნივთები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მეომართა ნივთები: ტანსაცმელი, სამკერდე ნიშნები, სუვენირები და ა.შ.) განკუთვნილი იყო ე.წ. „დოსაფის“ მუზეუმის შესაქმნელად. ამ მასალებს აგროვებდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი ტ. ჩინჩილაკაშვილი, რომელმაც შესაბამისი აქტის გაუფორმებლად, დროებით შესანახად შემოიტანა ეს ნივთები მუზეუმში და უკან უნდა წაეღო, მაგრამ იგი უეცრად გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, დღემდე ვერ დადგინდა ამ ნივთების წარმომავლობა, შემომტანის ვინაობა და ა.შ. მოძიებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ იგეგმება ექსპონატების აღწერა, რის შემდეგაც ნივთებს მიეცემა საინვენტარო ნომერი და დარეგისტრირდება საინვენტარო წიგნში.

ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის მიხედვით, „სამუზეუმო ფონდი ექვემდებარება მკაცრ სახელმწიფო აღრიცხვას,“ რაც ითვალისწინებს ორ ეტაპს. კერძოდ, პირველ ეტაპზე ხდება „მუზეუმში შემოსული ნივთების პირველადი რეგისტრაცია“, რაშიც იგულისხმება შემოსულობათა წიგნში მოკლე ჩანაწერის გაკეთება. მეორე ეტაპზე კი ხდება სამუზეუმო ნივთების სამეცნიერო რეგისტრაცია, ანუ მათი კლასიფიკაცია, აგრეთვე ზუსტი და ვრცელი აღწერილობების გაკეთება საინვენტარო წიგნებში. ამიტომ,



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სამუზეუმო ნივთის დასახასიათებლად განსაკუთრებით სრულყოფილ დოკუმენტად ითვლება საინვენტარო წიგნი.

ამავე ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-11, მე-12, მე-13 პუნქტების მიხედვით, საინვენტარო წიგნში ჩაწერას წინ უსწრებს საინვენტარო ბარათის შედგენა. საინვენტარო ბარათს ავსებს შესაბამისი განყოფილების თანამშრომელი, რომელიც, რაც შეიძლება მოკლე დროში სწავლობს საგანს, აღწერს მას და შეაქვს საინვენტარო წიგნში, რიგითი ნომრით.

ინსტრუქციის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის (მვირფასი ლითონების ინვენტარიზაცია) მიხედვით, „მვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნივთების საინვენტარო წიგნში შეტანისას, გარდა აუცილებელი ცნობებისა, საჭიროა ჩაიწეროს ნივთის საერთო წონა (გრამებში). ასევე - მასში შემავალი სხვადასხვა მვირფასი ლითონის დასახელება, წონა, მვირფასი ქვების ჩამონათვალი, რაოდენობა“ და ა.შ. ინსტრუქციის ზემოხსენებულ მოთხოვნათა დარღვევით, ჯანაშიას მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მვირფასი ლითონების ფონდში, აუდიტის დაწყებისას ინახებოდა ბოლო 15-16 წლის მანძილზე (რამდენიმე შემთხვევაში კი კიდევ უფრო ადრინდელი) 634 საინვენტარო ნომრით შემოსული ექსპონატი (ზოგჯერ ერთი საინვენტარო ნომრით შემოსულია რამდენიმე ათეული მძივი ან სხვა ნივთი), რომლებიც საინვენტარო წიგნებში არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული ექსპონატების ნაწილი სხვა ფონდებიდანაა გადმოცემული და ამ ფონდების საინვენტარო წიგნებში ასახულია, მაგრამ დიდი ნაწილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდანაა მიღებული ან სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მიერაა მოძიებული და შემოტანილი მუზეუმში, ისე, რომ მხოლოდ ძირითად შემოსულობათა წიგნშია რეგისტრირებული. მათზე არ არის შედგენილი საინვენტარო ბარათები, ზოგ შემთხვევაში არ არის დადგენილი (განსაკუთრებით წვრილი ფრაგმენტების) მათი რაოდენობა და წონა, რაც თავის მხრივ გარკვეულ რისკს შეიცავს. მაგალითად: 2007 წლის 8 აგვისტოს №13 აქტით ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შემოტანილია ვერცხლის მილაკების ასხმა, ისე რომ აქტში მითითებულია მხოლოდ ასხმის სიგრძე 3.5 მეტრი, არ არის მითითებული მილაკების რაოდენობა და წონა.

აუდიტის ჯგუფის მითითებით დაიწყო ამ ექსპონატების რეგისტრაცია შესაბამის საინვენტარო წიგნში და აუდიტის დასრულებისას მათი დიდი ნაწილი უკვე რეგისტრირებული იყო.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, რომელიც ამჟამად მუზეუმს ექვემდებარება, აღრიცხვა მოსაწესრიგებელია. არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის, რომელი დოკუმენტით, რა სახის და ოდენობის ექსპონატები გადაეცა მუზეუმს. ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, გადაცემის აქტები ინახება შესაბამისი ექსპედიციების ხელმძღვანელებთან. ეს აქტები არ არის ერთად თავმოყრილი, აკინძული და დალუქული. არ არის გახსნილი ამ აქტების სარეგისტრაციო ჟურნალი. შესაბამისად, ვერ დგინდება ცენტრის მიერ მუზეუმისათვის გადაცემული ექსპონატების ზუსტი ოდენობა და მახასიათებლები.

აღრიცხვის საკითხში არსებული ასეთი დარღვევების გამო კი აუდიტის ჩატარებისას სისრულის მტკიცების დაცვა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ფონდში, თავს იყრის სხვადასხვა არქეოლოგიური კვლევების დროს აღმოჩენილი მვირფასი ლითონების შემცველი ექსპონატები. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფონდია, რომელსაც საფრანგეთიდან დაბრუნების (1945 წ.) შემდეგ 1997 წლამდე პატრონობდა ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომლის გარდაცვალების შემდეგ საგანძურის მცველად დაინიშნა თამაზ კილურაძე, ისე, რომ მისთვის ფონდის ოფიციალური გადაბარება არ მომხდარა. თამაზ კილურაძის გარდაცვალების შემდეგ, 2002 წლიდან დღემდე ფონდი აბარია მინდია ჯალაბაძეს, თუმცა



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ოფიციალური გადაბარება არც ამ შემთხვევაში განხორციელებულა და მხოლოდ ახლა მიმდინარეობს ფონდის აღწერა-შეჯერების პროცესი. ფონდის კურატორის, მინდია ჯალაბადის განმარტებით, 2002 წელს, გარდაცვლილი თამაზ კილურაძის კაბინეტში არსებულ სეიფში აღმოჩნდა მუყაოს ყუთში ჩალაგებული არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც 1997-1999 წლებში იქნა აღმოჩენილი ლაგოდეხის რაიონში ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ. აღნიშნულ ნივთებს (10 ცალი ოქროს მძივი და ორი ცალი ვერცხლის სამაჯური) მიცემული ჰქონდა მხოლოდ სავლე ნომრები და ცენტრალურ შემოსულობათა წიგნშიც არ იყო რეგისტრირებული. დღემდე ეს ნივთები, ასევე რეგისტრაციის გარეშე ინახებოდა ფონდში.

ამავე ინსტრუქციის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით („მუზეუმში შემოსული ნივთების რეგისტრაცია“), „ყველა ნივთი, რომელიც მუდმივი სარგებლობისათვის შედის მუზეუმში, საფონდო - შემსყიდველი კომისიის დასკვნისა და აქტების შედგენის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში უნდა გატარდეს ძირითად შემოსულობათა ან სამეცნიერო-დამხმარე მასალათა წიგნში“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა კოლექციების წინასწარი სისტემატიზაციისა და კამერალური დამუშავების აუცილებლობის შემთხვევაში, შემოსულობათა წიგნში ჩაწერის ვადა განისაზღვრება საფონდო-შემსყიდველი კომისიის მიერ, სამუშაოთა მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით.“

ამავე ინსტრუქციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „მუზეუმში შემოსულ ყველა ნივთს უნდა ჰქონდეს სააღრიცხვო აღნიშვნები: მუზეუმის შიფრი (მისი შემოკლებული დასახელება), შემოსულობათა წიგნის ნომერი, საინვენტარო წიგნის ნომერი და შიფრი, რომლებიც ნივთზე უნდა აღინიშნოს“.

მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ფონდის ინვენტარიზაციისა და შეჯერებისას ფონდზე პასუხისმგებელი პირი დაცვა-აღრიცხვის თანამშრომელთან და ფონდის ასისტენტთან/ასისტენტ-კურატორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად ადგენს ადგილზე ფაქტობრივად არსებული ექსპონატების სიას და ადარებს დარგობრივ (საფონდო) საინვენტარო წიგნების მონაცემებს. შემდეგ, დაცვა-აღრიცხვის მენეჯერი აჯერებს ექსპონატების სიას ცენტრალურ/ძირითად საინვენტარო (შემოსულობათა) წიგნთან, ადგენს საბოლოო სიას და ფონდის კურატორთან ერთად აქტი აფიქსირებს გამოვლენილ უზუსტობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღწერის შედეგები მოწმდება ორმხრივი ხელმოწერით, მტკიცდება გენერალური დირექტორის ხელმოწერითა და მუზეუმის ოფიციალური ბეჭდით.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უშუალოდ ჯანაშიას მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების (რომლებიც წლების მანძილზე გრძელდება და პერმანენტულად შემოდის ახალი ექსპონატები) შედეგად აღმოჩენილი და მუზეუმის საკუთრებაში გადმოცემული ექსპონატები ცენტრალურ/ძირითად საინვენტარო წიგნში არ ტარდება. ამ წიგნში თითოეულ ექსპედიციას მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი, თუმცა არ არის დაფიქსირებული თუ როდის, რამდენი და რა სახის ექსპონატი იქნა შემოტანილი ამ ექსპედიციის მიერ. მაგალითად: ძირითად საინვენტარო წიგნში 1986 წლის 27 თებერვალს რიგითი ნომრით - №7-986 რეგისტრირებულია ალევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა (აქტი N6), თუმცა არც ამ აქტში და არც აღნიშნულ წიგნში არ არის დაკონკრეტებული რა ექსპონატებია შემოტანილი.

შუა საუკუნეების არქეოლოგიურ კოლექციებში არის „ალევის ფონდი“, რომელშიც თავს იყრიდა ალევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ექსპონატები, საიდანაც ძვირფასი ლითონის შემცველი ან რაიმე განსაკუთრებული ნიშნით გამორჩეული ექსპონატები გადაეცემოდა შესაბამის ფონდებს. სულ



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ალევის ფონდის საინვენტარო წიგნებში 1 849 ექსპონატია რეგისტრირებული (ბოლო ექსპონატი გატარებულია 2009 წელს), თუმცა შენიშვნის გრაფაში არაფერია მითითებული მათი შემდგომი მოძრაობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული ექსპონატი უკვე სხვა ფონდებშია გადაცემული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ექსპონატებიდან არც ერთი არ არის გატარებული ძირითად საინვენტარო წიგნში (გარდა იმისა, რომ მთლიან ფონდს მინიჭებული აქვს №7-986) და შესაბამისად, მისი შეჯერება ამ წიგნთან არალოგიკურია.

ამავე ინსტრუქციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა ექსპედიციებიდან შემოსული მასალა თავდაპირველად მიიღება კომპლექსების საკოლექციო - საველე აღწერის საფუძველზე ან აქტების მიხედვით;

საველე და საკოლექციო აღწერას ხელს აწერს აღმწერი პირი, ხოლო ამოწმებს ექსპედიციის ხელმძღვანელი, რის შემდეგაც ინომრება და მტკიცდება მუზეუმის ბეჭდით. აღწერის რეგისტრაცია ხდება საველე და საკოლექციო აღწერის სპეციალურ წიგნში.“

აღნიშნული მოთხოვნები ირღვევა, მუზეუმში საველე და საკოლექციო აღწერის სპეციალური წიგნი არ არის გახსნილი.

ფონდსაცავებში, რეგისტრაციის გარეშე ინახება სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ნივთებიც, მაგალითად, კახეთის ფონდში არსებული 34 სმ-ის სიგრძისა და 11.5 სმ სიგანის ორპირა ცული გრემის ექსპედიციიდან, მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქციით ეს აკრძალულია.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით სამუზეუმო ნივთი არის „მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლი, კულტურის უძრავი ძეგლის ფრაგმენტული ნაწილი ან კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარული საგანი.“ აუდიტით დადგინდა, რომ მუზეუმში ინახება ზოგიერთი ისეთი ექსპონატი, რომელიც აუდიტის ჯგუფის აზრით ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს. მაგალითად: ჯანაშიას მუზეუმის ისტორიის კოლექციების XIX-XX საუკუნეების ნივთიერი ფონდის ძვირფასი ლითონების კოლექციაში დაცულია 36 ნივთი, საიდანაც 32 ქალის სამკაულია, რომლებიც დამზადებულია ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საიუველირო ქარხნებში. ამ ნივთებიდან 27 ერთეული მუზეუმს გადაეცა 1974 წლის 12 ივლისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომისიის მიერ და წარმოადგენდა ბრალდებული სალარიძის სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცებას; დანარჩენი 5 ერთეული - მუზეუმს გადაეცა 1974 წლის 3 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან და წარმოადგენდა ბრალდებულ ყალიჩავას სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცებას. აღნიშნული სამკაულები მიეკუთვნება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო და არა სამუზეუმო ნივთებს.

მუზეუმში დაცულია აგრეთვე ათეულობით პიონერული ყელსახვევი. რამდენიმე ცალი ყელსახვევის შენახვა კი სრულიად საკმარისი იქნება მისი ისტორიული მნიშვნელობის განსასაზღვრავად.

ეთნოგრაფიულ კოლექციებში დაცული ქსოვილისა და ტყავის ზოგიერთი ექსპონატი დაავადებული და დაშლილია, ასევეა გეოლოგია-პალეონტოლოგიისა და ზოოლოგიის ფონდებში და ა.შ. ასეთი ექსპონატები წარმოადგენს დაავადების კერას. მათ არ გააჩნია ვიზუალური ეფექტი და



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დღეისთვის, არც სამეცნიერო ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, სათანადო დასაბუთებისა და პროცედურების შემდეგ სასურველია მათი ჩამოწერა და ამორიცხვა სამუზეუმო ფონდებიდან.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხელოვნების მუზეუმში წლების მანძილზე ინახება ისეთ ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენს სამუზეუმო ექსპონატებს და არც მუზეუმის კუთვნილებაა. კერძოდ: 1988 წლის 7 აპრილს, მოქალაქე ვ.გარაყანიძემ საექსპერტო-შემსყიდველ კომისიას ჩააბარა ოთხი ხატი, რომლებიც წარმოადგენს გვიან შესრულებულ რუსული ხატწერის ნიმუშებს. დღემდე იგი მუზეუმში აღარ გამოჩენილა და 24 წლიწაღზე მეტი ეს ხატები ისე ინახება მუზეუმში, რომ არ დასმულა საკითხი მათი შემდგომი კუთვნილების დასადგენად.

1993 წლის 1 დეკემბრის №10/5-192 წერილით საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს საგამომიებო ბიურომ მიმართა მუზეუმს, შეენახა 49 ერთეული ხატი „№53 სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.“ აღნიშნული ხატებიც დღემდე ინახება მუზეუმში.

2000 წლის 11 აგვისტოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონული სააღსრულებო ბიუროს №323/5-07 წერილითა და შესაბამისი აქტით, ხელოვნების მუზეუმს შეფასებისა და დროებით შენახვისათვის ჩაბარდა მსჯავრდებულ ჯ.იოსელიანის დაყადაღებული სხვადასხვა დასახელების ნივთები, სულ 40 ერთეული (ძირითადად ხატები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი).

როგორც წერილიდან ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 2/09 განაჩენით მსჯავრდებულების ჯ.იოსელიანის და სხვათა დაყადაღებული ქონება უნდა მიეცეულიყო დანაშაულით მიყენებული ზარალის 319.2 ათასი ლარის გადახდაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სწორედ ამ მიზნით იქნა აღნიშნული ქონება ამოღებული ჯ. იოსელიანისაგან. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა შესაბამისი სამუშაო და პასუხი ეცნობა სააღსრულებო სამსახურს.

აღნიშნული ნივთების ჩაბარებიდან თორმეტ წელიწადზე მეტია გასული და ისინი კვლავ ხელოვნების მუზეუმში ინახება. ამრიგად, არ სრულდება უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 2/09 განაჩენი და სახელმწიფო ბიუჯეტშიც არ იქნა შესაბამისი თანხები შეტანილი.

საქართველოს შსს საგამომიებო დეპარტამენტის 2001 წლის 8 ივლისის წერილით ხელოვნების მუზეუმს და ქ. თბილისის ექსპერტიზისა და სერტიფიკაციის გაერთიანება „თბილექსპერტიზას“ გაეგზავნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე (№7401154) კომპლექსური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ექსპერტიზაზე წარდგენილ იქნა მოქ. ლ. ბუზუკაშვილისაგან ამოღებული 45 ცალი საეკლესიო ხატი და 2 ჯვარი. დადგენილებით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი კითხვები:

1) წარმოადგენდა თუ არა ეს ნივთები საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშებს.

2) რას შეადგენდა თითოეული ნივთის ღირებულება.

3) რას შეადგენდა ამ ნივთების საბაჟო ღირებულება.

ხელოვნების მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხელოვნების მუზეუმის სპეციალისტების მიერ შეფასება მიეცა თითოეულ ექსპონატს და გაკეთდა საექსპერტო დასკვნა, რომელიც გადაეგზავნა საგამომიებო დეპარტამენტს, თუმცა ეს დასკვნა და შესაბამისი წერილი ვერ წარმოგვიდგინეს.

აღნიშნული ნივთების ჩაბარებიდან თერთმეტ წელიწადზე მეტია გასული და ისინი კვლავ ხელოვნების მუზეუმშია მიტოვებული.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, სამუხეუმო ექსპონატი საბუღალტრო აღრიცხვას არ ექვემდებარება. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-1 პუნქტის მიხედვით კი, ანგარიშზე - სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (2122) - აღრიცხება საბაზრო და არასაბაზრო წესით მომსახურების გაწევისათვის სახელმწიფო მუზეუმების მფლობელობაში არსებული ნახატები, ქანდაკებები, ხელოვნების სხვა ნიმუშები და ანტიკვარიატი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე კოლექციები და სხვ. ამრიგად, ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნებს და შესაბამის დარეგულირებას მოითხოვს.

დღეის მდგომარეობით, მუზეუმში საკუთარი და საბიუჯეტო სახსრებით შესყიდული ექსპონატების აღრიცხვა, სხვადასხვა ტექნიკასა და ინვენტართან ერთად, ხორციელდება ამ ანგარიშზე. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუზეუმის ბალანსზე ირიცხება 1 449.7 ათასი ლარის ღირებულების შესყიდული ექსპონატები, თუმცა აქედან, მხოლოდ 2005-2011 წლებში შესყიდული 18.9 ათასი ლარის ღირებულების (1.3%) ექსპონატებია გაშიფრული ანალიზური აღრიცხვის მეშვეობით. დანარჩენი თანხა გაერთიანებაში შემავალი 5 მუზეუმის წინა წლების საბალანსო მონაცემების მექანიკური ნაერთია და მათი რეალობა აუდიტით ვერ დადგინდა, რადგან საბუღალტრო სამსახურში არ არსებობს იმ ექსპონატების ანალიზური აღრიცხვა. კერძოდ, ვერ დგინდება, თუ რა სახის, ოდენობისა და ღირებულების ექსპონატები ირიცხება მუზეუმის ბალანსზე, ჯამში - 1 430.8 ათასი ლარის ღირებულებით.

ამრიგად, მუზეუმის ბალანსზე რიცხული 42 889.0 ათასი ლარის აქტივებიდან არ იშიფრება 1 430.8 ათასი ლარის აქტივები, ანუ 3.3%. აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობის დადგენა. ყოველივე ეს, ფინანსურ აღრიცხვაში დამშვებულ სხვა შეცდომებთან ერთად, წარმოადგენს აუდიტის მასშტაბის არსებით შეზღუდვას.

აუდიტის ჯგუფის მიერ რამდენიმე ფონდში შერჩევით შემოწმდა შესაბამის საინვენტარო წიგნებში შეტანილი ექსპონატების ძალიან მცირე ნაწილის რეალურად არსებობის მდგომარეობა. შედეგად დანაკლისი არ გამოვლენილა, თუმცა ექსპონატების ავთენტურობის შესახებ დასკვნის გამოტანა სცილდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა კომპეტენციას.

აუდიტით დადგინდა, რომ არქეოლოგიის განყოფილების ძვირფასი ლითონების სეიფში ინახება 1992 წელს მოსახლეობის მიერ შემოწირული ძვირფასეულობა, რომელიც არ არის მიჩნეული სამუხეუმო ექსპონატებად და არც შესაბამის საინვენტარო წიგნებშია აღრიცხული. საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ 1992 წელს საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოს თაოსნობით დაფუძნდა „საზოგადოებრივი ოქროს ფონდი“, რომლის ფორმირების წყარო იყო მოსახლეობის მიერ შემოწირული ძვირფასეულობა.

1992 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოება „თბილისელმა“ საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა თხოვნით (წერილი №123), გამოეყო საექსპერტო კომისია, რადგან მოსახლეობის მიერ შემოწირულ ძვირფას საგნებს შორის შეიძლება ყოფილიყო სამუხეუმო ექსპონატებიც.

წერილი განსახილველად გადაეცა ჯანაშიასა და ხელოვნების მუზეუმების დირექტორებს, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა ამ საქმიანობაში.

საქართველოს მთავრობის 1992 წლის 16 ოქტომბრის №996 დადგენილებით შეიქმნა „შემოწირულ ფასეულობათა სპეციალური ფონდი.“ დადგენილებით განისაზღვრა, რომ ეს შემოწირულობები უნდა



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გაბრიელა საძაროვიძე ფინანსთა სამსახურის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

მაგალითად: გალერეის 27 ექსპონატი (10 ფერწერული, 7 გრაფიკული, 5 ჭედურობის და 5 გობელენი) 1994 წლის 22 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულია „ექსიზბანკის“ თანამშრომელ - სოსო კივილაძეზე, ექსიზბანკის შენობაში ქართველ მხატვართა ნამუშევართა დროებითი გამოფენის მოწყობის მიზნით. აქედან ხუთივე გობელენი და სამი ფერწერული ნამუშევარი 1999 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით არის უკან დაბრუნებული, დანარჩენი (7 ფერწერული, 7 გრაფიკული, 5 ჭედურობა) ნამუშევრების მოსაძიებლად და დასაბრუნებლად არაფერი არ გაკეთებულა, რაც დაუშვებელია, რადგან დღეის მდგომარეობით ამ სახელწოდების ბანკი ქვეყანაში უკვე აღარ არსებობს, ამიტომ დიდია ამ ნამუშევრების დაკარგვის რისკი.

ახალგორის რაიონის ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალში 2003 წლის 15 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულია 41 ფერწერული ნამუშევარი. გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1996 წლიდან მათზე გადაცემული იყო გამოყენებითი ხელოვნების 9 ნიმუში. ეს 50 ექსპონატი დარჩენილია რაიონში, რომელიც დღეის მდგომარეობით რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და სადაც ამჟამად უმართავი პროცესები მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ნამუშევრების მდგომარეობის გარკვევა და შესაბამისი ზომების მიღება მათ დასაბრუნებლად.

კინემატოგრაფისტთა კავშირის გადაცემული აქვს 10 ნამუშევარი (6 ფერწერული და 4 გამოყენებითი ხელოვნების), რასაც ადასტურებს კავშირის (გადაცემის აქტი ვერ წარმოგვიდგინეს) 1999 წლის 14 სექტემბრის №01-74 წერილი, რომლითაც იგი ითხოვს ამ ნამუშევრებით სარგებლობის ვადის გაგრძელებას 11 თვით, თუმცა ისინი 13 წლის შემდეგაც არ დაუბრუნებიათ.

ფონდების მცველების განმარტებით, ხანდახან ისინი ამოწმებდნენ დროებით გადაცემული ექსპონატების არსებობას შესაბამის მისამართებზე, თუმცა ყველგან მისვლას ვერ ახერხებდნენ, თანაც ამას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, „ექსიზბანკი“) შენობაშიც კი არ უშვებდნენ, ზოგიერთი ორგანიზაციის მისამართი კი საერთოდ არც იციან. აქედან გამომდინარე, მათ მხოლოდ ზოგიერთი ექსპონატის შესახებ გააჩნიათ მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაცია.

მაგალითად: წარმოდგენილი ინფორმაციით, ხელოვნების მუშაკთა სახლისათვის გადაცემულად ნაჩვენებია 43 ნამუშევარი. 1999 წლის 1 აპრილისა და 1 ოქტომბრის აქტებით ხელოვნების მუშაკთა სახლს გადაეცა 49 ნამუშევარი, საიდანაც ორი დაუბრუნდა მუზეუმს.

გადაცემის აქტში მითითებული გ. თოთიბაძის 7 ნამუშევრიდან, ფონდების მცველის განმარტებით, შემდგომში ორი ნახატი სამხატვრო აკადემიაშია გადაცემული, ერთი („ენუქიძის პორტრეტი“) საერთოდ არ ეკუთვნოდა გელერეას, სამი კი ადგილზე უნდა იყოს. მისივე განმარტებით, ხელოვნების მუშაკთა სახლში ამჟამად გ.თოთიბაძის მხოლოდ ერთი („კახელი მევენახეები“) სურათია, დანარჩენების ადგილსამყოფელი კი არ იცის, თუმცა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით სამხატვრო აკადემიაში არ გადაუმოწმებია.

1998 წლის 5 სექტემბრის უნომრო აქტით 10 ფერწერული ნამუშევარი ჩაბარდა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მარკეტინგის, რეკლამირების, ინფორმაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს, ნიკო კვარაცხელიას. დღემდე ამ ნამუშევრების ადგილსამყოფელი უცნობია.

1995 წლის 28 ივლისის უნომრო აქტით 18 ფერწერული ტილო ჩაბარდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსს, გ. მერაბიშვილს. აქედან, ერთი ადრევე დაუბრუნდა მუზეუმს. აუდიტის მიმდინარეობისას, კერძოდ, 2012 წლის 22 ივნისს, კიდევ 14 ექსპონატი იქნა დაბრუნებული, დანარჩენი სამი კი ვერ მოიძებნა. ექსპონატების



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დაბრუნების აქტში დაფიქსირებულია, რომ პროკურატურა ადასტურებს მათ მიერ ზემოხსენებული ექსპონატების მიღების ფაქტს და დარჩენილი ნამუშევრები დაუბრუნდება მუზეუმს მოძიებისთანავე, თუმცა 2012 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული.

სხვადასხვა სახის ნამუშევრებია გადაცემული საქართველოს საელჩოებზე, სამინისტროებზე და ა.შ.

აუდიტის მიმდინარეობისას საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა წერილი, თხოვნით მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში დაცული იმ სამუზეუმო ექსპონატების შესახებ, რომლებიც მიღებული აქვთ დროებით სარგებლობაში. შედეგად დადგინდა, რომ ეს ორგანიზაცია-დაწესებულებები, იმ სამუზეუმო ექსპონატებიდან რომლებიც ეროვნულ მუზეუმს მათთვის გადაცემულად აქვთ დაფიქსირებული 69 ექსპონატის მათთან არსებობას არ ადასტურებენ.

ინფორმაცია ამ ექსპონატების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ფონდი	გადაცემის საფუძველი	მიმღები დაწესებულება/ფო ნდი	რაოდენობა	გადაცემის თარიღი
ფერწერა	მიღება-ჩაბარების აქტი N2, 10.01.1994წ.გადაეცა საქ.	საქართველოს საელჩო აშშ-ში	10	1993
გრაფიკა	რესპუბლიკის საგარეო საქმეთა		20	1993
ჭედურობა	სამინისტროს დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის სამმართველო		13	1993
გობელინი	„დიპსერვისი“-ის განყოფილების უფროსის მოადგილე-ი.ჩალაბიანი- საქ. საელჩოს წარმომადგენელი აშშ- საქ. საელჩო ქ. ვაშინგტონში		3	1993
ფერწერა	გალერეის დირექტორის ბრძანება N1, 04.01.1995წ.ჩაიბარა ელჩმა ირანში ჯ. გიუნაშვილმა	საქართველოს საელჩო ირანში	4	1995
გრაფიკა	სია-თეირანში საქ. რესპუბლიკის საელჩოში გასაგზავნი ნამუშევრების- საქ.რესპუბლიკის ელჩი ირანში- ჯ.გიუნაშვილი, აქტი არ არის, არის ჩამონათვალი		6	1995
ფერწერა	მიღება-ჩაბარების აქტი 39, 07.09.05წ.	საქართველოს საელჩო თურქეთში	2	2005
გრაფიკა	მიღება-ჩაბარების აქტი N38, 07.09.2005წ. საქ.გენერალური კონსული ქ.სტამბოლში-ზვიად კვაჭანტირაძე		5	2005
ფერწერა	ვერ მოიძებნა	საქართველოს საელჩო სომხეთში	6	2006
	სულ		69	

აღნიშნული საკითხი შემდგომ მოკვლევას საჭიროებს.“



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

როგორც აღინიშნა, 1991 წელს ეროვნულ გალერეაში ხანძარმა ექსპონატებთან ერთად გაანადგურა დოკუმენტაცია. შესაბამისად, ინფორმაცია, ხანძარამდე სხვადასხვა ორგანიზაციებზე დროებით გადაცემული ექსპონატების შესახებ, გალერეის თანამშრომლებს არ გააჩნიათ.

აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა გალერეიდან სამინისტროში დროებით გადაცემული და საინვენტარო წიგნში დაურეგისტრირებული ექსპონატი, კერძოდ, კუპრეიშვილის ნახატი „გვიმრა“, რომელსაც აუდიტის ჯგუფის მითითების შემდეგ მიენიჭა შესაბამისი ნომერი და გატარდა საინვენტარო წიგნში.

1979 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან ი.აივაზოვსკის (1817-1900 წწ.) ნამუშევარი („ბაირონის ჩასვლა წმ. ლაზარეს კუნძულზე.“ ტ/ზ.1.32 X 2.19 სმ; №310) გამოფენაზე გაიგზავნა ერევანში, საიდანაც გამოგზავნილ იქნა ი. აივაზოვსკის სურათი „პეიზაჟი“ და წერილი თხოვნით, მუზეუმებს გაეცვალათ ეს სურათები. ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ამ გაცვლაზე, თუმცა სომხეთის მხარეს სამი წლის ვადით გაუგრძელა ნამუშევრის დაბრუნების ვადა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც სომხეთიდან სურათი არ დაბრუნებულა, ხოლო ქართულ მხარეს ადეკვატური რეაგირება არ განუხორციელებია ამ ნამუშევრის უკან დასაბრუნებლად. სომხეთის მიერ გამოგზავნილი სურათი ინახება ხელოვნების მუზეუმის ფერწერის ფონდში, მაგრამ არ არის რეგისტრირებული საინვენტარო დავთარში.

1982 წლის 23 დეკემბერს, სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა მ.ბაქრაძემ, დროებითი სარგებლობისათვის, ერთი თვის ვადით წაიღო მის მიერვე შესრულებული 7 ნამუშევარი. სურათები ავტორმა არ დააბრუნა. მიზეზი უცნობია.

1981წლის 20 ოქტომბერს, მხატვარმა მ.ბოზოხიძემ, ასევე დროებითი სარგებლობისათვის, ერთი თვის ვადით წაიღო მის მიერვე შესრულებული ორი ნამუშევარი და აღარ დააბრუნა ისინი. მან უარი განაცხადა ამ ნამუშევრების დაბრუნებაზე, თუმცა ქმედითი ზომები აღნიშნული ნამუშევრების დასაბრუნებლად არ გატარებულა.

უმეტეს შემთხვევაში ექსპონატების დროებით გადაცემის აქტებში მითითებული იყო ვადებიც, მაგრამ თითქმის არასოდეს არ ხდებოდა ამ ვადების დაცვა, რის გამოც ზოგიერთი ექსპონატი განადგურდა, ზოგი კი შეიძლება უკვე დაკარგულად ჩაითვალოს. მაგალითად: 80-იან წლებში ხელოვნების მუზეუმიდან ეროვნული გალერეისათვის გამოფენების მოსაწყობად დროებით გადაცემული ნამუშევრებიდან 5 ერთეული (მ. ხვიტიას „შემოდგომა,“ ო. სულავას „ქალიშვილის პორტრეტი,“ ნ.იანჭოშვილის „უფლისციხე“ და ა.შ.) დროულად არ დაბრუნდა მუზეუმში და გალერეის მიერ გაცემული ცნობების თანახმად, დაიწვა 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების დროს.

1987 წლის 23 ივლისს ხელოვნების მუზეუმიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დროებით გამოსაფენად, წლის ბოლომდე ვადით, გადაეცა გ. გაბაშვილის სურათი „ხევსურები დღეობაში,“ რომელიც მუზეუმში არ დაბრუნებულა.

1985 წლის 13 დეკემბერს სოხუმის სურათების გალერეას გამოფენისათვის გადაეცა ალ.შერვაშიძის 67 ნამუშევარი, რომლებიც მუზეუმში ასევე აღარ დაბრუნებულა.

2003 წლის 20 მარტის №4-28/230 წერილით, რუსეთის სამხატვრო აკადემიამ სთხოვა საქართველოს კულტურის სამინისტროს, მოსკოვში, კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენის „კავკასიური სამყაროს“ ორგანიზებასთან დაკავშირებით, მათთვის დროებით მფლობელობაში გადაეცათ ახალი და თანამედროვე რუსული ხელოვნების კოლექციის ექვსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ექსპონატი, რომლებიც შესაბამისი აქტით გადაეცა კულტურის სამინისტროს თანამშრომელს და გაიგზავნა მოსკოვში. დღემდე ეს ნამუშევრებიც არ დაბრუნებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კოლექციის ფერწერის ფონდიდან, შეჯერების წინასწარი შედეგებით, 62 ექსპონატია დროებით სარგებლობაში გადაცემული. აქედან 57-ზე არსებობს შესაბამისი აქტი, ორი ნამუშევრის (გ. ჯაშის „ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი“ და ბ. ფოგელის „თელავი“) გადაცემის დამადასტურებლად წარმოდგენილია სამინისტროს (1990 წლის №3/310 და 2003 წლის №3/61) ბრძანებები, ხოლო 3 ექსპონატზე მოძიებულია მხოლოდ სამხატვრო აკადემიის რექტორის წერილი ამ ექსპონატების გადაცემის თხოვნით.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს 1990 წლის №3/310 ბრძანებით, მუზეუმმა სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანებას (ახლანდელი „გალერეა“) ათხოვა გ. ჯაშის 9 ნამუშევარი, ამ მხატვრის პერსონალური გამოფენის მოსაწყობად. ფონდის მცველის განმარტებით, ერთი ნამუშევარი („ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი“) არ დაბრუნებულა ხელოვნების მუზეუმში და იგი, სავარაუდოდ, 1991-1992 წლებში დაიწვა. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ვერ გაირკვა, თუ რა მიზეზით დატოვეს ეს ერთი ნამუშევარი, მაშინ როდესაც დანარჩენი 7 დაბრუნდა და ამჟამად ადგილზეა.

ასევე სამინისტროს ბრძანებით, ქ.მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში გამოსაფენად გატანილი ბ.ფოგელის „თელავი“ დღემდე არ დაბრუნებულა, თუმცა ფონდის მცველის განმარტებით, ეს სურათი მხატვარ ზ.წერეთლის მიერ ჩამოტანილია და დღეს ის მხატვართან ინახება.

70-იან წლებში სხვადასხვა ქალაქში ეწყობოდა მხატვარ ზ.ნიჟარაძის სურათების გამოფენები, რისთვისაც ხელოვნების მუზეუმიდან დროებით გაჰქონდათ მისი ნამუშევრები, საიდანაც ფონდში არ დაბრუნდა 5 ნამუშევარი. მხატვრის ზეპირი განმარტებით, ეს სურათები მისი ნებართვის გარეშე გაიყიდა ქ. მოსკოვში. ეს ექსპონატები კვლავ ირიცხება სახელმწიფო ქონებად და არ მომხდარა მათი ამორიცხვა საინვენტარო წიგნებიდან.

ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების ფონდიდან გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტისათვის გადაცემულია ჯერჯერობით დაუდგენელი რაოდენობის დოკუმენტები (ნახაზები), რომელთაგანაც ნაწილი არ დაბრუნებულა და 90-იან წლებში შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა.

ამავე ფონდიდან ასევე დაუდგენელი რაოდენობის დოკუმენტებია (ნახაზები) გადაცემული ცალკეულ ფიზიკურ პირზე დროებითი სარგებლობისათვის. მათგან ათზე მეტი ექსპონატის ადგილსამყოფელი გაურკვეველია. დანაკლისის ზუსტი ოდენობის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის გამო, რაც აღრიცხვის სერიოზული პრობლემაა. ამჟამად ფონდში მიმდინარეობს აღრიცხვა-შეჯერების პროცესი და მხოლოდ ამ პროცესის დამთავრების შემდეგ შეიძლება გაირკვეს რეალური მდგომარეობა.

ამ პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის შემოწმებით დადგინდა, რომ „საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ექსპონატების მუდმივ და დროებით სარგებლობაში მიღებისა და გაცემისას აქტები ინომრება ცალ-ცალკე, რიგითი ნომრის მიხედვით, იკინძება ცალ-ცალკე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ხოლო წლის ბოლოს „აქტები ინომრება ფურცლების მიხედვით, იკინძება, ილუქება ბეჭდით და ინახება მუზეუმში“. ამასთან, „ყველა აქტი ექვემდებარება რეგისტრაციას სპეციალურ სარეგისტრაციო წიგნში. მუზეუმს შეუძლია აწარმოოს



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აქტების რეგისტრაციის ოთხი (მუდმივ სარგებლობაში ჩაბარება-მიღებისა და დროებით სარგებლობაში ჩაბარება-მიღების) წიგნი“.

აღსანიშნავია, რომ 1968 წლიდან მოქმედ ინსტრუქციაშიც იყო ჩადებული ანალოგიური მოთხოვნები.

გარდა ამისა, ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მცველი ვალდებულია „წელიწადში ორჯერ მთავარ მცველს ან აღრიცხვის განყოფილებას წარუდგინოს ცნობა მის გამგებლობაში არსებული ფონდების გადაადგილების შესახებ“.

ინსტრუქციის ზემოხსენებული მოთხოვნების დარღვევით, არც ერთ მუზეუმში არ არის დროებით და მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ექსპონატების გადაცემის აქტების სპეციალური სარეგისტრაციო წიგნი, ხოლო ფონდების მცველების მიერ არ ხდება ცნობების წარდგენა მათ გამგებლობაში არსებული ფონდების გადაადგილების შესახებ.

გარდა ამისა, გალერეიდან ექსპონატების გაცემის ზოგი აქტი არ არის დანომრილი, არ არის დაფიქსირებული ექსპონატების გადაცემის მიზეზი და ვადა. აღნიშნული აქტები არ არის აკინძული წიგნებად. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში აქტები აკინძულია წიგნებად, მაგრამ არ არის დანომრილი და დალუქული. ხელოვნების მუზეუმში მხოლოდ 2000 წლამდე გაფორმებული აქტებია აკინძული წიგნებად, თუმცა არც ისინია დანომრილი და დალუქული. 2000 წლის შემდეგ გაფორმებული აქტები კი ჯერაც აუკინძავია.

ყოველივე ამის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს თუ ვის, რატომ, როდის, რა სახის და რაოდენობის ექსპონატი გადაეცა დროებით. აუდიტით მოპოვებული ინფორმაცია ეყრდნობა უშუალოდ მუზეუმების თანამშრომლების (ძირითადად ფონდების მცველების) მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და შესაბამის ცნობებს, რომლის სიზუსტეზე პასუხისმგებელი ლოგიკურად ვერავინ ვერ გახდება, რადგან შესაძლებელია (უკეთეს შემთხვევაში) რომელიმე მათგანს რაიმე გამორჩენოდა.

აქედან გამომდინარე, აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებისას ვერ მოხერხდა სისრულის მტკიცებაზე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება, რაც შეუძლებელს ხდის აუდიტორული რისკის დასაშვებ მინიმალურ დონემდე შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ დროებით გადაცემული და არდაბრუნებული ექსპონატების საინვენტარო წიგნიდან ამორიცხვა და მათი ჩამოწერა არ მომხდარა და ყველა ეს ექსპონატი ინვენტარიზაცია-შეჯერების დროს აღირიცხება, როგორც ადგილზე არსებული. შესაბამის აქტებში არ მიეთითება თუ სად ინახება ეს ექსპონატები და რა ვადით, რაც არასწორია, თუმცა ინვენტარიზაცია-შეჯერების ინსტრუქციის არარსებობის გამო ეს გარემოება ვერ ფიქსირდება როგორც კონკრეტული ნორმატიული აქტის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი.

წარმოდგენილი ინფორმაციით გალერეის ქანდაკებების ფონდის საინვენტარო წიგნები ხანძარს გადაურჩა, რადგან ფონდი განთავსებულია შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარდაფში (ვ.აბაშიძის №5). 2001-2002 წლებში საცავი რამდენჯერმე გაიძარცვა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კერძოდ: 2001 წლის მარტში ფონდსაცავის გატეხვასთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ დააფიქსირა 2 ნამუშევრის დანაკლისი, რომლის შესახებაც 2002 წლის აგვისტოში გაკეთდა ოფიციალური განაცხადი და ეცნობა შსს-ს მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს.

2002 წლის სექტემბერში კვლავ გატეხილ იქნა ქანდაკებების ფონდსაცავი და შესაბამისმა კომისიამ დააფიქსირა 278 ექსპონატის დანაკლისი. აღნიშნული გარემოებები აღწერილია წერილებში, რომლებიც გალერეის გენერალურმა დირექტორმა თ.გოცამემ 2002 წლის 13 და 18 დეკემბერს გაუგზავნა საქართველოს შსს-ს ქ.თბილისის სამმართველოს და საქართველოს კონტროლის პალატას.

ფონდის კურატორის (ე.კიკნაძე) განმარტებით, იგი 2008 წლიდან დაინიშნა ამ თანამდებობაზე და მას შემდეგ მიმდინარეობს ფონდის ინვენტარიზაცია და გადაბარება ყოფილი მცველის, ლ.კვანტალიანისაგან, რომელიც თავის მხრივ 2003 წლიდან ისე მუშაობდა ამ თანამდებობაზე, რომ ფონდი ოფიციალურად არ ჩაუბარებია. ინვენტარიზაცია-გადაბარების პროცესი ფონდსაცავში არსებული პირობებისა და სამუშაოს დიდი მოცულობის გამო გაჭიანურდა და მისი დასრულება 2012 წლის ოქტომბრის თვეში იგეგმებოდა.

ამავე განმარტებით ფონდში ათწლეულების მანძილზე დაგროვილია „უცნობი ავტორების დაუდგენელი ნამუშევრები“, ანუ ინახება აღურიცხავი, საინვენტარო წიგნებში გაუტარებელი ნივთები, რაც დაუშვებელია, რადგან ინსტრუქციის მე-11 მუხლის („მუზეუმში შემოსული ნივთების მიღებისა და გაცემის წესი“) 1-ლი პუნქტის მიხედვით: მუზეუმში შემოსული ყველა ნივთი ექვემდებარება მკაცრ დოკუმენტურ აღწერას. ნივთების მიღების ან გაცემის შემთხვევაში აქტების გაფორმება ხდება დაუყოვნებლივ. ორივე სახის აქტი ითვლება სახელმწიფო აღრიცხვის პირველად იურიდიულ დოკუმენტად. გაუფორმებელი ნივთების შენახვა მუზეუმში სასტიკად აკრძალულია.

ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ფონდის კურატორის განმარტებით, ექსპონატების უმეტესობას არ ჰქონდა საიდენტიფიკაციო წარწერა და მათი ამოცნობა ხდებოდა სპეციალური კომისიის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ რომელიმე აღურიცხავი ნამუშევარი ჩაითვალოს რეგისტრირებულ ექსპონატად და ვერ მოხდეს დანაკლისის დაფიქსირება.

აღნიშნული ფონდიდან 23 ავტორის 67 ექსპონატია გაცემული დროებით (ძირითადად ავტორებზე), რომელთა დაბრუნების ვადა გასულია, მაგრამ მუზეუმს ჯერ არ დაბრუნებია. აქედან 16 ნამუშევარი ბრინჯაოსია.

აუდიტის დაწყებამდე დროებით გაცემული ექსპონატების შესახებ მონიტორინგი თითქმის არ ხორციელდებოდა. შედეგად, მათი უმრავლესობა არ იქნა დაბრუნებული და არც დათვალიერების აქტები იყო წარმოდგენილი. აუდიტის მიმდინარეობისას მუზეუმის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი დროებით გაცემული ექსპონატების მოძიებისა და დაბრუნების შესახებ. შედეგად, 28 სექტემბერს საქართველოს საელჩომ სომხეთის რესპუბლიკაში, დააბრუნა 2006 წლის 10 იანვარს დროებით გამოსაფენად წადებული 11 ნახატი.

ანალოგიურად, 1994 წლის 22 დეკემბერს „ექსიმბანკისათვის“ დროებითი გადაცემული 19 ნამუშევრიდან, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ მ.წ. 12 ოქტომბერს დაბრუნებულია 15 ექსპონატი. დანარჩენი ოთხი ექსპონატის საკითხი კი აუდიტის ანგარიშის გამოცემის თარიღისათვის გაურკვეველია.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

უარყოფითი მოსაზრება

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი უზუსტობებისა და ნაკლოვანებების არსებობისა და ყოვლისმომცველობის გამო, სამინისტროს 2011 წლის ფინანსური საქმიანობა, სახელმწიფო სახსრებისა და ქონების განკარგვის ნაწილში, არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, არ არის მომზადებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის პროცესში გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შიდა კონტროლის არსებითი სისუსტეები

სამინისტროში დანერგილი სუსტი შიდა კონტროლის სისტემა განაპირობებს მისი ფუნქციონირების დაბალ ხარისხს, რაც გამოიხატება შემდეგ ნაკლოვანებებში:

1. სამინისტროში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც არ იძლევა გარანტიას აღრიცხული აქტივების ფაქტობრივ არსებობაზე და აღურიცხავი აქტივების დროულ გამოვლენაზე. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სამინისტროს აპარატის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტში შეტანილია საცხოვრებელი შენობა, რომელიც კერძო პირის საკუთრებას წარმოადგენს;

2. მიუხედავად საცნობარო მუხლში უსაფუძვლოდ ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებებისა, სამინისტროს მიერ არ ხორციელდება მონიტორინგი მათი ჩამოწერის მომენტიდან მათზე მონიტორინგისა და მოვალეთა ქონებრივი მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში დავალიანებათა შესაძლო ამოღების მიზნით. ბალანსიდან (აპარატის და აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების) ჩამოწერილია 172.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც მომდინარეობს 1997-2004 წლებიდან;

3. არ ხდება მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების/მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზი: სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების ნაწილში ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების/მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, რომ „შემსრულებელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები“, თუმცა არ არის აღნიშნული ამ მომსახურების შესრულების რეკვიზიტები - რეალური თარიღები, მოცულობა, შინაარსი და სხვ. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ ფინანსურ საკითხებში არაკომპეტენტური პირები (ფუნქციონალური დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მხოლოდ შესრულებული სამუშაოების/მომსახურებების შესრულების ხარისხზე);

4. სატენდერო წინადადების სავარაუდო ფასის განსაზღვრა ხდება ბაზრის წინასწარი კვალიფიციური კვლევის გარეშე. შედეგად, კონკურენციის პირობებში ჩატარებული ტენდერებიდან, სავარაუდო ღირებულებების სახელშეკრულებო ღირებულებამდე 30-50%-ით შემცირების შემთხვევებშიც კი, მომწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების/გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული მოგების მარჟა საკმაოდ მაღალია;

5. შიდა აუდიტის მიერ გაწეული საქმიანობა არასაკმარისია რისკების შეფასებისა და უზუსტობების დროულად იდენტიფიცირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დებულებით ევალება სამინისტროს სისტემაში გასვლითი ან კამერალური აუდიტის ფორმით თემატური, შესაბამისობის, ოპერაციული, ეფექტიანობის და ფინანსური აუდიტის ჩატარება, 2011 წელს აუდიტი ჩატარდა მხოლოდ სამინისტროს აპარატში და აპარატის მიერ განხორციელებულ პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე, არ არის შემუშავებული სამინისტროს ერთეულების საფინანსო-სამეურნეო შემოწმებათა კონკრეტული გეგმა. არ ხორციელდება



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

პროგრამების მიმდინარეობის პრევენციული შემოწმებები. არ არის შემუშავებული შერჩევისა და ტესტირების პროცედურები.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.